ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში

2020

საქართველოს
სახალხო დამცველი
2021

მეთოდოლოგიის ავტორი: თამარ დეკანოსიძე

სისხლის სამართლის საქმეების და სტატისტიკის ანალიზზე მუშაობდნენ ექსპერტები:

გიორგი გოცირიძე და გვანცა ხარატიშვილი

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს მხარს უჭერს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთანავე, გაეროს ქალთა ორგანიზაცია გაეროს სისტემაში კოორდინაციას უწევს და წაახალისებს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საქმიანობას. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს. გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის, „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ (UNJP), ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

სარჩევი

შესავალი **5**

1. კვლევის მეთოდოლოგია **7**

2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის სტატისტიკა **10**

3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები **14**

4. გამოძიების ეტაპებზე არსებული ხარვეზები **16**

4.1 მოტივის დადგენა 16
4.2 კვალიფიკაციის პრობლემა 18
4.3 შეცდომა მსხვერპლის იდენტობის აღქმისას 19
4.4 საქმესთან კავშირში მყოფი ყველა პირისთვის ნიმუშების აღება 21
4.5 მსხვერპლის დისკრედიტაცია 24
4.6 ფემიციდით დაზარალებული ბავშვები 25
4.7 ძალადობის წინარე ისტორიის შესწავლა 25

5. ხარვეზები სასამართლო განხილვისას **28**

5.1 სასამართლოს უმოქმედობა, შესაძლებელი გახადოს ფემიციდის თავიდან არიდება 28
5.2 გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობის დასაბუთება სასამართლოს განაჩენში 33
5.3 არარეგისტრირებული ქორწინების ცნება 39
5.4 სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის გამოყენება 41

6. სისხლისსამართლებრივი ბრალდებების შეწყვეტის შესახებ განჩინებების ანალიზი **45**

დასკვნა **47**

რეკომენდაციები **49**

დანართი 1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა **51**

შესავალი

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმის - ფემიციდის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება და მისი თავიდან არიდება კვლავ პრობლემურია. ამგვარ შემთხვევებზე მართლმსაჯულების არაეფექტიანი განხორციელება კი პრევენციული ღონისძიებების სიმცირითა და ოჯახში და ქალის მიმართ ძალადობისგან თავის დასაღწევად საჭირო სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების არარსებობითაა გამოწვეული, რაც ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის მიმართულებით წლიდან წლამდე მნიშვნელოვან ხარვეზად რჩება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობების შემთხვევები არათუ იკლებს, არამედ მატულობს. ახალი კორონავირუსის პანდემიის შედეგად გამოწვეულმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად დაამძიმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობა და გაზარდა ოჯახში ძალადობის რისკები. მაგალითისათვის, 2020 წელს 24 ქალის მკვლელობის ფაქტი მოხდა, მათ შორის 15 შემთხვევაში ოჯახური დანაშაულის ნიშანი გამოიკვეთა. ასევე, გამოვლინდა 27 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი, რომელთაგან 17 შემთხვევა ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი.[1] მაშინ როდესაც, 2019 წელს ქალის მკვლელობის 19 ფაქტი გამოვლინდა, მათგან 10 - ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი. ქალთა მკვლელობის მცდელობის 22 ფაქტიდან კი, 18 იყო ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი.

საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის შესაბამისად, 2016 წლიდან სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე აანალიზებს ქალთა გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობების, მკვლელობის მცდელობების, ჯანმრთელობის დაზიანებებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეებს.

ამჯერად, სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა 2020 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის შემთხვევების მონიტორინგის ანგარიში. საქმეთა სამართლებრივი ანალიზის მეთოდოლოგია მოიცავს მართლმსაჯულების განხორციელების და სტატისტიკის შეფასებას, რაც შესაძლებლობას იძლევა გაიზომოს მიღწეული პროგრესი და გამოვლინდეს ის ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ რჩება და ხელს უშლის პრობლემასთან ბრძოლას.

მისასალმებელია, რომ სახელმწიფო უწყებებმა შეასრულეს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წინა წლების მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების ნაწილი. განხორციელებული ცვლილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იქმნება სასამართლო პრაქტიკა გენდერის ნიშნით ჩადენილ მკვლელობასთან ან მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით, მათ შორის, სახალხო დამცველის წინა ანგარიშებში მითითებული სტანდარტების გათვალისწინებით. გამოძიება თითქმის ყველა საქმეზე შეისწავლის ძალადობის წინაისტორიას.

2017-2019 წწ. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ოჯახის წევრის მიმართ და გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა.[2] აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, სასამართლოები სასჯელს ოჯახში ჩადენილი დანაშაულის საფუძველზე ამძიმებენ, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ დაბალია ისეთი საქმეების რაოდენობა, სადაც დანაშაულის ჩადენა გენდერის ნიშნით გამოიკვეთა და შესაბამისად

1 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/10486; 24.02.2021.

2 2017 წლის 4 მაისისა და 2018 წლის 30 ნოემბრის საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

- სასჯელი დამძიმდა. გარდა ამისა, კვლავ პრობლემურია სამართალდამცავი უწყებების მიერ დანაშაულის „გენდერის ნიშნით“ ჩადენის კვალიფიკაციაც.

მონიტორინგის შედეგად კვლავ გამოიკვეთა შემთხვევები, სადაც ფემიციდის ან/და ფემიციდის მცდელობის ფაქტებამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ფიქსირდებოდა შეტყობინებები მსხვერპლი ქალების მიმართ ჩადენილი ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. თუმცა, ამის მიუხედავად რისკების სწორი შეფასება და ფემიციდის ან/და ფემიციდის მცდელობის თავიდან არიდება ვერ მოხერხდა. განსაკუთრებით საგანგაშოა ფემიციდის ან/და ფემიციდის მცდელობის ჩადენა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებისა და ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის მოხდილი სასჯელის შემდგომ პერიოდში.

ვიმედოვნებთ, წარმოდგენილ მიგნებებსა და რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

1. კვლევის მეთოდოლოგია

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) მონიტორინგის მეთოდოლოგიური ჩარჩო სახალხო დამცველის აპარატში შემუშავდა, და ის ასევე იქნა გამოყენებული წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას.[3]

კვლევის მიზნებისათვის, საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე და ლათინოამერიკულ სახელმძღვანელო ოქმზე[4] დაყრდნობით, სახალხო დამცველი იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას: ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.

ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. გენდერთან დაკავშირებული ქალთა მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის მიხედვით, ფემიციდია, როდესაც მკვლელობა ან ქალის გარდაცვალება უკავშირდება ქალის გენდერს, კერძოდ, უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლელობის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრიმინაციასთან.[5]

რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, სასამართლო საქმეების ანალიზისას, წინამდებარე კვლევისათვის მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ფემიციდის მოტივის ნიშნები, კერძოდ:

- მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული ან სექსისტური დამოკიდებულება;

- მესაკუთრული დამოკიდებულება;

- ქცევის კონტროლი;

- სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა.[6]

3 „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები", 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქართველოს სახალხო დამცველი, 2017.

4 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი" - შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978- 9962-5559-0-2, გვ. 13-14.

5 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი" - შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

6 მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია 2016 წლის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშში. გვ. 6-10. ონლაინ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2KrEn9k [ბოლოს ნანახია 2020 წლის 26 ნოემბერს].

ფემიციდის საქმეთა მონიტორინგი ჩატარდა სამ ეტაპად. **კვლევის პირველი ეტაპი** გულისხმობდა ფემიციდთან და ფემიციდის მცდელობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის და გამამტყუნებელი განაჩენების გამოთხოვას საერთო სასამართლოებიდან.[7]

კვლევის **მეორე ეტაპზე**, ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის გამოსავლენად, გაანალიზდა პირველი, სააპელაციო და უზენაესი ინსტანციის სასამართლოებიდან მიღებული გამამტყუნებელი განაჩენები.

კვლევის **მესამე ეტაპზე,** სამივე ინსტანციის სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა საქმის სრული მასალები მეთოდოლოგიის მიხედვით შერჩეულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა განაჩენებზე, ასევე, აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მართლმსაჯულების განხორციელების ხარვეზების გამოსავლენად.[8]

შედეგად, საერთო სასამართლოებიდან სახალხო დამცველის აპარატს, 2020 წელს მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით, 35 განაჩენი მიეწოდა. მოწოდებული განაჩენების გაცნობის შემდეგ, საქმეთა მასალები გამოთხოვილ იქნა 34 სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც 2020 წელს მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით ჯამში 24 საქმეში გამოიკვეთა როგორც ფემიციდის, ისე ფემიციდის მცდელობის ნიშნები. აღნიშნული საქმეების სრულად გაცნობის შედეგად ფემიციდი გამოიკვეთა 10 საქმეში, ხოლო ფემიციდის მცდელობა - 14 საქმეში. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ საქმეში მსჯავრი დაედო ორ პირს, რომელთაგან ერთი ქალის დასრულებული მკვლელობისათვის გასამართლდა, ხოლო მეორე მკვლელობის მცდელობისათვის. ამგვარად, ერთ საქმეში გვხვდება როგორც ფემიციდი, ისე ფემიციდის მცდელობა.[9] გაცნობის მიუხედავად, ანგარიშში არ მოხვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 10 საქმე, სადაც არ იკვეთებოდა არც ფემიციდის, არც ფემიციდის მცდელობის ნიშნები. იგივე შეიძლება ითქვას თელავის რაიონული სასამართლოდან გამოთხოვილ ერთ საქმეზე, რომელიც ქალის აშკარად ანგარების მიზნით მკვლელობას ეხებოდა.

7 ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იყო ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეების დაკვალიფიცირება, კერძოდ: განზრახ მკვლელობა (სსკ-ის მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ-ის მუხლი 109), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის მუხლი 111), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სსკ-ის მუხლი 117), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ-ის მუხლი 115), სსკ-ის 19,108ე და 19,109ე მუხლი (დანაშაულის მცდელობა). ასევე, 118.2 მუხლი, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. სსკ-ის 118-4 მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, დანაშაული ჩადენილი ოჯახის წევრის, გენდერის ნიშნით, ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, რამაც გამოიწვია მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა), ასევე, სსკ-ის 121-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) და სსკ-ის 122-ე (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) მუხლებით დაკვალიფიცირებული საქმეები. ასევე ვითხოვდით ინფორმაციას სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, სადაც ასევე შესაძლებელია გამოიკვეთოს ფემიციდი. კერძოდ: ქალის გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 137.4.ბ), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 138.3.ბ), უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 133.3), სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ-ის მუხლი 1331 .3), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ-ის მუხლი 1332 .3), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 1431 .4.ბ), წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 1441 .3.გ).

8 საქმეთა ნაწილი სახალხო დამცველის აპარატს მოეწოდა მატერიალური სახით, ოთხ საქმეს და ორ განჩინებას გავეცანით თბილისის საქალაქო სასამართლოში.

9 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/671-20.

ანგარიშში ასახული 24 საქმიდან ერთი საქმე ეხება ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტით ფემიციდში გამართლებულ ქალს.[10] ინფორმაცია აღნიშნული ქალის შესახებ, ისევე როგორც ფემიციდის სტატისტიკა, ანგარიშში არ არის ასახული. მიუხედავად ამისა, ანგარიშში საუბარია ზემოხსენებული ქალის მკვლელობის გამოძიების ხარვეზებზე, რამაც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში გამამართლებელი ვერდიქტის დადგენა გამოიწვია.

გორის რაიონულმა სასამართლომ ყოფილი ქმარი დამნაშავედ ცნო ცოლის მკვლელობის მცდელობაში, რაც დანით მის სხეულზე მრავლობითი დაზიანების მიყენებაში გამოიხატებოდა.[11] დაზარალებული უგონო მდგომარეობაში მოათავსეს საავადმყოფოში და რამდენიმე თვის განმავლობაში ხელოვნური სუნთქვის აპარატზე ჰყავდათ მიერთებული. საქმის სასამართლოში გადაგზავნის მომენტისათვის დაზარალებული ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამის გამო პროკურატურამ ბრალის შესახებ დადგენილება სასამართლოში 11[1]-19-109-2დ[1] ვ მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა გენდერის ნიშნით) გააგზავნა. საქმის განხილვის მომენტში დაზარალებული გარდაიცვალა. ექსპერტიზის დასკვნით, დაზარალებულის გარდაცვალება უშუალო მიზეზობრივ კავშირში იყო ბრალდებულის მიერ დანით მიყენებულ ჭრილობებთან. რადგანაც სასამართლო განხილვისას მხოლოდ ბრალდებულის სასარგებლოდ არის დასაშვები კვალიფიკაციის შეცვლა, საბოლოოდ, სასამართლომ, ბრალდებული გენდერის ნიშნით ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობაში ცნო დამნაშავედ. იმის მიუხედავად, რომ ეს გადაწყვეტილება სამართლებრივად სწორადაა მიჩნეული, მიზანშეწონილია, სამართლებრივი ფიქციის ნაცვლად სტატისტიკაში ასახულიყო რეალობა, რომლის მიხედვითაც, ქალმა სიცოცხლე გენდერული ნიშნით მოტივირებული თავდასხმის შედეგად დაკარგა. შესაბამისად, ეს საქმე ასახულია ფემიციდის და არა ფემიციდის მცდელობის სტატისტიკაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[12] ფემიციდის მცდელობისათვის ორი პირი იქნა მსჯავრდებული. ამ საქმის სტატისტიკაში ასახვის გამო, ფემიციდის მცდელობის ზოგიერთი მონაცემის (მაგალითად, ფემიციდის მცდელობის ადგილი) ჯამი, შესაძლოა, იყოს 14-ის ტოლი, ხოლო სხვა მონაცემების ჯამი, რაც უშუალოდ ფემიციდის მცდელობის ჩამდენ ადამიანებს (მაგალითად, მსჯავრდებულის განათლება ან დასაქმება) უკავშირდებათ, იყოს 15-ის ტოლი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშში ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობად მიჩნეულია 23 სისხლის სამართლის საქმე.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოში არსებობს ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეების სტატისტიკის წარმოების პრობლემა. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მიერ წარმოებული სტატისტიკა ერთმანეთს არ ემთხვევა.[13] ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო არასწორად აწარმოებს ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის საქმეების სტატისტიკას. მაგალითად, სახალხო დამცველის წერილობით მოთხოვნაზე - მოეწოდებინა ქალის სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის საქმეები - თბილისის საქალაქო სასამართლო, ცალკეულ შემთხვევაში, გვაწვდიდა საქმეებს, სადაც ადგილი ჰქონდა კაცის მკვლელობას ან მკვლელობის მცდელობას, ხოლო ქალის მიმართ ადევნებას.[14]

10 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/916-20).

11 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/249-20.

12 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/425-20.

13 მაგალითისათვის, მცხეთის რაიონული სასამართლოდან მოგვეწოდა განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სტატისტიკაში მონიშნული არ ყოფილა.

14 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1392- 20 და (თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3364-20.

2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის სტატისტიკა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა 2020 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის 23 საქმე[15] გააანალიზა. გაანალიზებული 23 საქმიდან 10 ეხება ფემიციდს, ხოლო 14 - ფემიციდის მცდელობას (1 საქმე ეხება როგორც ფემიციდის, ისე ფემიციდის მცდელობის ფაქტს).

დიაგრამა №1. ფემიციდის ჩამდენი პირები



დიაგრამა №2. ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირები:



სტატისტიკის თანახმად, ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩამდენები, 2020 წელსაც, ქალების მიმართ ყველაზე ხშირად ქმრები ან ყოფილი ქმრები არიან, ხოლო ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივად „ეჭვიანობა“ და „შურისძიება“ სახელდება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საანგარიშო პერიოდში, სასამართლოებმა ქალის მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობების „გენდერის ნიშნით“ ჩადენის მოტივიც გამოკვეთეს.

15 24 საქმიდან ერთ საქმეში ბრალდებული განზრახ მკვლელობის ჩადენაში გამართლდა, თუმცა ანგარიშში საუბარია ამ საქმის გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზების შესახებ. შესაბამისად, საქმე ფემიციდის/ ფემიციდის მცდელობის სტატისტიკაში არ ასახულა. აგრეთვე, ფემიციდის მცდელობის 1 შემთხვევა ჩადენილია 2 ადამიანის მიერ, შესაბამისად, ფემიციდის მცდელობის შემთხვევა 14-ია, ხოლო ფემიციდის მცდელობის ჩამდენთა რაოდენობა - 15.

დიაგრამა №3. ფემიციდის ჩადენის მოტივი[16]

დიაგრამა №4. ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივი

ფემიციდის ჩადენის ადგილი, წინა წლების მსგავსად, უმრავლეს შემთხვევაში, სახლია, რაც ფემიციდის სპეციფიკის გათვალისწინებით, გავრცელებული გარემოებაა.

დანართი №5. ფემიციდის ჩადენის ადგილი



დანართი №6. ფემიციდის მცდელობის ჩადენის ადგილი



გაანალიზებული საქმეებიდან, **ფემიციდის ჩადენის იარაღი** 3 შემთხვევაში იყო დანა, 2 შემთხვევაში - ცეცხლსასროლი იარაღი, 1 შემთხვევაში - ხის სკამი, 1 შემთხვევაში - ცულის ხის

16 ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივის სტატისტიკა დათვლილია სასამართლოების მიერ განაჩენებში გამოკვეთილი მოტივების მიხედვით.

ტარი, 1 შემთხვევაში - ბალიში, 1 შემთხვევაში - ცული და 1[17] შემთხვევაში - მკვრივი-ბლაგვი საგანი.

ფემიციდის მცდელობის ჩადენის იარაღი 7 შემთხვევაში იყო დანა, 2 შემთხვევაში - ცეცხლსასროლი იარაღი, 1 შემთხვევაში - ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, 1 შემთხვევაში - სახურავიდან გადმოხტომის მცდელობა, 1 შემთხვევაში - შხამქიმიკატი, 1 შემთხვევაში - სამართებელი და 1 შემთხვევაში - ბენზინის შესხმა.

კვლავ გახშირებულია ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ჩადენა ალკოჰოლური თრობის დროს. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ჩამდენი 24 პირიდან დანაშაულის ჩადენის დროს 16 პირი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.[18]

შესწავლილი საქმეების მიხედვით, ტენდენციად რჩება, რომ ფემიციდს/ფემიციდის მცდელობას, ძირითადად, უმუშევარი ან დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს, შესაბამისად, დაბალი შემოსავლის მქონე პირები ჩადიან.[19]

რაც შეეხება დანაშაულის ჩამდენ პირთა ნასამართლობას, სტატისტიკა ასე გამოიყურება:

დანართი №7. ფემიციდის ჩამდენ პირთა ნასამართლობა



დანართი №8. ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირთა ნასამართლობა



17 მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმეზე, №1/259-20, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული იარაღი ვერ დადგინდა. ბრალდებულის ვერსია, რომ მან დაზარალებული დაახრჩო, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით არ დადასტურდა. ექსპერტიზის დასკვნით, მკვრივი ბლაგვი საგანი, რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია, შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი ან ადამიანის სხეული.

18 1 შემთხვევაში პირი ფხიზელი იყო, თუმცა ქრონიკული ალკოჰოლიზმით გამოწვეული ქცევითი აშლილობა ჰქონდა. გორის რაიონული სასამართლოს №1/490-20 საქმეში ალკოჰოლზე დამოკიდებულ ბრალდებულს მკვლელობამდე არ მიუღია სასმელი. ამის გამო ცუდად გახდა და გადასხმის აპარატი დაიყენა. მკვლელობის მომენტში იმყოფებოდა თეთრი ცხელების მდგომარეობაში. იმის გამო, რომ ალკოჰოლის მოხმარებიდან გასული იყო ორი დღე, ამის მიუხედავად, დანაშაულებრივი ქმედება ალკოჰოლზე დამოკიდებულებასთან არის მჭიდრო კავშირში, ეს შემთხვევა ცალკე გამოვყავით.

19 **განათლება:** ფემიციდის ჩამდენი პირებიდან საშუალო განათლება 5 პირს ჰქონდა მიღებული, არასრული საშუალო - 3 პირს, პროფესიული განათლება - 1 პირს, ხოლო უმაღლესი განათლება - 1 პირს. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირებს, ტექნიკური განათლება ჰქონდა 1 პირს, საშუალო განათლება - 9 პირს, არასრული საშუალო განათლება - 3 პირს და უმაღლესი განათლება - 2 პირს.
დასაქმება: ფემიციდის ჩამდენი პირებიდან უმუშევარი იყო 9 პირი, ხოლო 1 დასაქმებული. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირებს, 8 პირი იყო უმუშევარი, 5 პირი - დასაქმებული, 2 პირი - თვითდასაქმებული.

გაანალიზებული 23 საქმიდან 8 ბრალდებული და 6 დაზარალებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო.

ფემიციდისათვის დაწესებული სასჯელი - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა - ფემიციდისათვის დადგენილი ყველაზე მსუბუქი სასჯელი იყო,[20] ხოლო 20 წლით თავისუფლების აღკვეთა - ფემიციდისათვის შეფარდებული ყველაზე მკაცრი სასჯელი. ფემიციდის მცდელობისათვის ყველაზე მკაცრი სასჯელი იყო 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. ყველაზე მსუბუქი სასჯელი - ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. ხოლო გაანალიზებული საქმეების კვალიფიკაცია შემდეგ-ნაირად გამოიყურება:

ფემიციდის საქმეები:

საქმის კვალიფიკაცია	საქმეების რაოდენობა
სსკ-ის 11[1]-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები (ოჯახის წევრის მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, ჩადენილი არაერთგზის)	1
სსკ-ის 108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა)	2
სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა)	1
სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით)	2
სსკ-ის 11[1]-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მკვლელობა)	2
სსკ-ის 11[1]-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ[1]“ და „ე“ ქვეპუნქტები (ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა, ჩადენილი გენდერის ნიშნით)	1

ფემიციდის მცდელობის საქმეები:

საქმის კვალიფიკაცია	საქმეების რაოდენობა
სსკ-ის 19-108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობის მცდელობა)	2
სსკ-ის 11[1] -115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა გენდერის ნიშნით)	1
სსკ-ის 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად განზრახ მკვლელობის მცდელობა)	2
სსკ-ის 11[1]-115-ე მუხლით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა)	2
სსკ-ის 11[1]-19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ[1]“ და „ვ“ ქვეპუნქტებით. (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით)	3
სსკ-ის 11[1] -117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ)	1
სსკ-ის 11[1] -117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	1
სსკ-ის 11[1]-115-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა)	1
სსკ-ის 11[1]-19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა)	1
სსკ-ის 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით)	1

20 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/671-20.

3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეების მონიტორინგისას ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის რამდენიმე კატეგორია და ტიპი გამოვლინდა. 2020 წლის განმავლობაში ქმრის მხრიდან ცოლის მკვლელობის მიზეზი გახდა მესამე პირისაგან მოსმენილი ჭორი იმასთან დაკავშირებით, რომ მსხვერპლი ქალი ღამით რესტორანში უცხო კაცთან ერთად დადიოდა.[21] ფემიციდის მცდელობას ასევე ჰქონდა ადგილი ქმრის მიერ ცოლზე უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო.[22] ქმარმა ცოლი თვითმკვლელობამდე მიიყვანა იმის გამო, რომ თვლიდა, რომ ცოლი იყო მისი მონა, ქალს ქმრისგან ყოველგვარი ძალადობა უნდა აეტანა და არ უნდა ჩარეულიყო ქმრისა და თავისი ძმის საქმეში.[23] ერთ საქმეში ქალი თვითმკვლელობამდე იმის გამო მივიდა, რომ ყოფილი ქმარი შერიგებას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულს ძმის და დედის მოკვლით ემუქრებოდა.[24] ერთ-ერთ საქმეში ფემიციდის მიზეზი განქორწინების სურვილი გახდა.[25] ფემიციდის მაგალითია შემთხვევა, როცა ბრალდებულმა ჯერ გააუპატიურა ქალი, ხოლო შემდეგ აღნიშნული დანაშაულის დაფარვის მიზნით მოკლა მსხვერპლი.[26] ბრალდებულმა გამოკითხვისას ყოფილი ცოლის მკვლელობის მიზეზად შვილის სახელის გატეხვის საფრთხე დაასახელა, რადგან ფლობდა ინფორმაციას, რომ ყოფილ ცოლს თავისზე უფროს კაცთან ჰქონდა ურთიერთობა.[27]

ქალების მოკვლას ოჯახის წევრები იმის გამო ცდილობენ, რომ ოჯახის წევრების აზრით, ისინი „სუსტი ყოფაქცევის ქალებთან“ მეგობრობენ.[28] ფემიციდის მცდელობის მიზეზი გახდა ის, რომ ქალი სახლს არ ალაგებდა და პატრიარქალურ საზოგადოებაში მისთვის დაკისრებულ „დიასახლისის“ მოვალეობას ჯეროვნად ვერ ასრულებდა.[29] ერთ საქმეში ბრალდებული უცნობ ქალს იმიტომ დაესხა თავს, რომ „გამომწვევად“ ეცვა.[30] ფემიციდის გავრცელებული სახეა ეჭვიანობა, მკვლელობის ცდა სხვასთან ურთიერთობის გამო,[31] ასევე, უარი ყოფილ ქმართან თანაცხოვრების განახლებაზე.[32]

საანგარიშო პერიოდში გვხდება ასოციაციური ფემიციდის შემთხვევები, როდესაც ქალი მისი ოჯახის წევრ კაცთან ანგარიშსწორების მიზნით მოკლეს. ეს არის შემთხვევა, როდესაც

21 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-671-20.

22 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/665-20.

23 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1ბ/1077-21.

24 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-557-20.

25 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/333-20.

26 ოზურგეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1-32-19; მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/259-20.

27 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/181-20.

28 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4548-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4487-20.

29 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №2251-20.

30 თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/3246-20.

31 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-850/20.

32 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4332-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1903-20; გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/249-20.

ბრალდებულმა ესროლა ანგარიშსწორების უშუალო ობიექტს, რომელიც დედასთან ახლოს იმყოფებოდა და ამით ბრალდებულმა ირიბად ასევე დაუშვა ქალის სიცოცხლის მოსპობის გარდაუვალობა.[33] ამგვარი მკვლელობის საქმე განიხილა ბათუმის საქალაქო სასამართლომ, როცა თავდამსხმელებმა ესროლეს ქმარს, რომელიც მათი ანგარიშსწორების უშუალო ობიექტი იყო, ასევე მის ცოლს, რომლის მიმართაც არ ჰქონდათ შურისძიების ინტერესი, თუმცა იგი ქმართან ერთად აღმოჩნდა მკვლელობის ადგილზე.[34]

33 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/671-20.

34 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/425-20.

4. გამოძიების ეტაპებზე არსებული ხარვეზები

4.1 მოტივის დადგენა

2020 წელს გვხვდება სისხლის სამართლის საქმეები, სადაც გამოძიებამ არ გადადგა სათანადო ნაბიჯები დანაშაულის გენდერული მოტივის დასადგენად. ერთ შემთხვევაში ხარვეზიანი გამოძიების გამო გენდერული მოტივი ვერ დადგინდა,[35] ხოლო მეორე შემთხვევაში ისე გაფორმდა ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება, რომ ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივი საერთოდ უცნობი დარჩა.[36]

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[37] ბრალდებულ ი. ა.-ს ჯერ კ. კ.-სთან მოუვიდა შელაპარაკება, ხოლო შემდეგ ს. ყ.-სთან. ამ ჩხუბით გაბრაზებულმა ი. ა.-მ მუცლის არეში დარტყმით მოკლა ს. ყ., რის შემდეგაც გაიქცა და კ. კ.-ს საცხოვრებელ სახლში შევარდა, სადაც უცნობი მოხუცი ქალი დახვდა. ი. ა.-მ აიღო ოთახში მდგარი პატარა ხის სკამი, ე. წ. „ჯორკო", მოხუც ქალს თავში რამდენჯერმე დაარტყა და მოკლა. მოკლული ქალი იყო კ. კ.-ს დედა, ვისთანაც ი. ა.-ს მოუვიდა შეკამათება.

ქალის მკვლელობა მისი ოჯახური კუთვნილების გამო, შეიძლება მიუთითებდეს გენდერულ მოტივზე. მკვლელი, მსხვერპლ ქალს, შესაძლოა, აღიქვამდეს იმ კაცის კუთვნილებად, ვის მიმართაც სურს ანგარიშსწორება. ასეთ პირობებში გამოძიება ვალდებულია, მოწმეების მიმართ სათანადო დამაზუსტებელი კითხვების დასმით დაადასტუროს ან გამორიცხოს ამგვარი გენდერული მოტივის არსებობა. საქმის გამომძიებელს მოწმეებისთვის არ უკითხავს, იცოდა თუ არა ბრალდებულმა, რომ დაზარალებული ქალი კ. კ.-ს დედა იყო. ამ კითხვაზე პასუხი შესაძლებელს გახდიდა დანაშაულის ჩადენის მოტივის გარკვევას. შესაბამისად, ამ კითხვების არდასმა, უნდა ჩაითვალოს გამოძიების მნიშვნელოვან ხარვეზად, რამაც სისხლის სამართლის საქმეზე გენდერული მოტივის დადგენას ხელი შეუშალა. დანაშაულის ჩადენის მოტივის გამოკვეთა ვერც სასამართლო განხილვისას მოხერხდა.[38] შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის მოტივი უცნობი დარჩა.

კიდევ ერთი საქმე, სადაც მკვლელობის მცდელობის მოტივი ვერ დადგინდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა.39 ბრალდებულმა ე. ა.-მ სასაფლაოზე წაიყვანა თავისი ბიძაშვილის ცოლი ა. გ., რათა მას საფლავი დაესუფთავებინა. ქალსა და მისი ქმრის ბიძაშვილს მანამდე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ე. ა.-მ ა. გ.-ს დანით ორი ჭრილობა მიაყენა. ქალის კივილზე სასაფლაოსთან მივიდნენ იქვე მცხოვრები ბებია და შვილიშვილი. დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად შესაძლებელი გახდა ქალის სიცოცხლის გადარჩენა.

დაზარალებული ვერ ხსნიდა მიზეზს, რატომ დაესხა მას თავს ბრალდებული. თავად ბრალდებულმა კი დუმილის უფლება გამოიყენა. საბოლოოდ, თავდასხმის მოტივის გაურკვევლად, ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. ბრალდებული დამნაშავედ ცნეს სისხ-

35 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №08-5/7948.

36 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1832-20.

37 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №08-5/7948.

38 ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მხარეებმა უდავო მტკიცებულებად მიიჩნიეს დაზარალებულის შვილის გამოკითხვის ოქმი. ამის გამო სასამართლო პროცესზე დაზარალებულის შვილი არ გამოუკითხავთ და შეუძლებელი გახდა იმ გარემოების დადგენა, იცოდა თუ არა ბრალდებულმა, რომ მოკლული კ. კ.-ს დედა იყო.

39 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1832-20.

ლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ფემიციდის, ისევე როგორც ყველა სხვა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, გამოძიებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოტივის გამოვლენას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „როდესაც ხდება ძალადობრივი ქმედებების, განსაკუთრებით სიცოცხლის მოსპობის საქმეების გამოძიება, სახელმწიფოს ეკისრება დამატებითი ვალდებულება, გადადგას ნაბიჯები იმის გასარკვევად, სიძულვილის მოტივმა ხომ არ ითამაშა გარკვეული როლი ამ დანაშაულის ჩადენაში. ამ გარემოების გამოკვლევისაგან თავის შეკავება და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე ისევე რეაგირება, როგორც ეს იმ დანაშაულის შემთხვევაში ხდება, რომელსაც ამგვარი მოტივი არ გააჩნია, ნიშნავს თვალის დახუჭვას ქმედების სპეციფიკურ ბუნებაზე, რაც განსაკუთრებით ანადგურებს ადამიანის ძირითად უფლებებს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გაუმიჯნაობა იმ დანაშაულებისაგან, რომელიც ამ მოტივით არ არის ჩადენილი, კონვენციის მე-14 მუხლს არ შეესაბამება“.40

ŠKORJANEC-ის საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე განაცხადა: „პრაქტიკაში სიძულვილის მოტივის დადგენა ხშირად ძალიან რთულია, სახელმწიფოს ვალდებულება, დაადგინოს ძალადობრივი ქმედების უკან მდგარი სიძულვილის მოტივი, გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი საშუალების გამოყენებას და არა იმას, რომ ამ ღონისძიების გამოყენების შედეგად სიძულვილის მოტივი აუცილებლად გამოიკვეთება. ევროპული კონვენციით დაკისრებული ვალდებულება გულისხმობს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ყველა გონივრული ზომის გამოყენებას“.41

ნაჩოვას საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით განაცხადა: „ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, გონივრულია მტკიცებულებების შესაგროვებლად და დასამაგრებლად. ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ყველა პრაქტიკული საშუალება სიმართლის გასარკვევად, ყოველმხრივი, გონივრული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებების მისაღებად. გამოძიების დროს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს საეჭვო გარემოებები, რაც სიძულვილის მოტივზე შეიძლება მიუთითებდეს“.42

მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, შეიძლება ითქვას, რომ გენდერული მოტივის გამოსავლენად არ გამოუყენებიათ გონივრული საგამოძიებო ტექნიკები. საეჭვო გარემოებები, რომელთა გამოკვლევასაც, შესაძლოა, გენდერული მოტივი დაედგინა, გამოძიების ყურადღების მიღმა დარჩა.

საანგარიშო პერიოდში მოტივი ვერ დადგინდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ კიდევ ერთ საქმეში, რომელიც ქუჩაში გამვლელი პირის მიერ ქალის ცულის ტარით მკვლელობას ეხებოდა.[43] მოცემულ საქმეში არ არსებობდა აღიარებითი ჩვენება, მკვლელობის მოტივს ვერც მოწმეები ასახელებდნენ და ვერც დაზარალებულის უფლებამონაცვლე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენში მიუთითა, რომ მკვლელობის მოტივი საქმეში ვერ დადგინდა და ეს არ იყო აუცილებელი ამ ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის.[44] მკვლელობის პირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენდა არა მოწმეთა ჩვენებები, არამედ სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული ექსპერტიზის დასკვნები.

40 CASE OF NACHOVA AND OTHERS v. BULGARIA paragraph 160 http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-69630

41 CASE OF ŠKORJANEC v. CROATIA paragraph 54 http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-172327

42 CASE OF NACHOVA AND OTHERS v. BULGARIA paragraph 160 http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-69630

43 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-366-20.

44 2021 წლის 22 ივნისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი.

წინა საქმეებისაგან განსხვავებით, მოცემულ საქმეში, გამოძიებამ ყველა შესაძლო ნაბიჯი გადადგა მოტივის დასადგენად, თუმცა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით, მოტივის დადგენა შეუძლებელი გახდა. იმავე დროს, უტყუარი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მკვლელობა სწორედ ბრალდებულმა ჩაიდინა და არა სხვა პირმა.

4.2 კვალიფიკაციის პრობლემა

პროკურატურის მიერ ქმედების სწორი - ოჯახის წევრის მიმართ და გენდერული ნიშნით - კვალიფიკაციის პრობლემა გამოიკვეთა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, სადაც კაცმა დანით სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ქალს, იმის გამო, რომ დაზარალებული ქალი ალკოჰოლური სასმლის მიღების შემდეგ, ღამით სხვა ქალის ნახვას აპირებდა. საქართველოს პროკურატურამ კაცს ბრალი საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება) წაუყენა.[45]

2020 წლის 4 ივლისს, პროკურორის დადგენილებით, საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა, ვინაიდან დაზარალებული და ბრალდებული საერთო საოჯახო მეურნეობას ეწეოდნენ, 5 წლის განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ, როგორც ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფილან. იმის გათვალისწინებით, რომ სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობები მიყენებული ჰქონდა მხოლოდ დაზარალებულ ქალს, სისხლის სამართლის საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება) გაგრძელდა.

2019 წლის 20 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებით, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილს დაემატა „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ოჯახის წევრის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი არის სპეციალური ნორმა ამავე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც პროკურატურამ დაადგინა, რომ ოჯახის ერთმა წევრმა სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა ოჯახის მეორე წევრს, ქმედების კვალიფიკაცია სწორედ იმ მუხლით უნდა მომხდარიყო, რომელიც ამ ქმედებისათვის, ამგვარი სპეციალური სუბიექტისათვის - ოჯახის წევრის სახით - ითვალისწინებს პასუხისმგებლობას. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ არ გამოიყენა პროკურატურამ ეს სპეციალური ნორმა. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ამ შემთხვევისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან რვა წლამდე, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით გათვალისწინებულია უფრო მსუბუქი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 3-დან 6 წლამდე.

გარდა ამისა, ბრალდებულის ქმედება ასევე შეიცავდა სხვა დანაშაულებრივი ქმედების ნიშნებსაც. 2018 წლის 30 ნოემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილს დაემატა „დ[1]“ ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გენდერის ნიშნით სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის. მოცემულ შემთხვევაში იკვეთებოდა გენდერის ნიშანი. კერძოდ, სხეულის მძიმე დაზიანება ჩადენილია ეჭვიანობის გამო. ეჭვიანობა კი, გამოხატავს ქალის მიმართ მესაკუთრულ დამოკიდებულებას და გენდერულ ნიშანზე მიუთითებს. ამასთანავე, დანაშაულის ჩადენამდე ბრალდებული მეგობარ ქალს ღამით სახლიდან გასვლას უკრძალავდა და ამით ცდილობდა მისი ქცევების გაკონტროლებას, ქალზე დომინირებას. შესაბამისად, მოწმეთა ჩვენებები საკმარისზე მეტ მტკიცებულებას იძლეოდა საიმისოდ, რომ ბრალდებულის

45 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-850/20.

ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტითაც დაკვალიფიცირებულიყო. გენდერის ნიშნით სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ[1]“ ქვეპუნქტი იდეალურ ერთობლიობაში იყო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტთან. თუმცა გამოძიებამ არ გაითვალისწინა, რომ დანაშაულს სპეციფიკური ბუნება ჰქონდა, დაკავშირებული იყო გენდერული ნიშნით ოჯახურ ძალადობასთან და მას ისე იძიებდა, როგორც ზოგადი სხეულის მძიმე დაზიანების დანაშაულს გამოიძიებდა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ დაარღვია ვალდებულება - გადადგას ყველა ნაბიჯი შეუწყნარებლობის მოტივის დასადგენად ან მის გასაქარწყლებლად, არ ჰქონდეს სიძულვილის დანაშაულებთან ისეთი მიდგომა, როგორიც გააჩნია ზოგადი ხასიათის დანაშაულებთან.[46]

პროკურატურამ აღნიშნული საქმე სასამართლოში სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-117-ე მუხლის პირველი პუნქტით წარმართა. მოცემულ შემთხვევაში, პროკურატურა იყო ერთადერთი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ქმედების უფრო მკაცრი მუხლით დაკვალიფიცირების უფლებამოსილება ჰქონდა. სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლეს კვალიფიკაციის შეცვლის უფლება მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც პირის ბრალდების შესახებ დადგენილებასთან შედარებით უმჯობესდება ბრალდებულის მდგომარეობა.[47] ცხადია, მოსამართლე მოკლებული იყო შესაძლებლობას, პირისთვის წარდგენილი ბრალი დაემძიმებინა და ქმედება უფრო მძიმე, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მე-5 ნაწილის „დ[1]“ ქვეპუნქტით გადაეკვალიფიცირებინა.

ასეთ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ნიშანი არ არის მაკვალიფიცირებელი, სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლით, მოსამართლეს შეუძლია ამ ნიშანზე მითითებით დაამძიმოს სასჯელი, რაც ამ საქმეში ნაწილობრივ შესრულდა. კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქმის განხილვისას ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია.[48] თუმცა, სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ქმედების გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ჩადენის ფაქტი. ცხადია, ამ გარემოებით გამოძიებაში ქმედების სწორ სამართლებრივ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემა ვერ მოგვარდა.

4.3 შეცდომა მსხვერპლის იდენტობის აღქმისას

საანგარიშო პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე,[49] სადაც ბრალდებულმა მკვლელობის მცდელობა ჩაიდინა მცდარი ვარაუდით, რომ მსხვერპლი იყო სექსმუშაკი. ამის მიუხედავად, პროკურატურამ ქმედება არ დააკვალიფიცირა როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ[1]“ ქვეპუნქტით.[50]

ზემოხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებებით ირკვევა, რომ ნასვამმა ბრალდებულმა კაფე-ბართან დაინახა ქალი, რომელიც ბრალდებულისვე თქმით, „მსუბუქი ყოფაქცევის“ უნდა ყოფილიყო. ქალი კაფე-ბარში მიმტანად მუშაობდა, კაფეს შესასვლელ კართან იდგა, როდესაც ბრალდებული მიუახლოვდა და მიმართა სიტყვებით - „ბოზო ქალო.“ მიმტანმა უცნობ კაცს ურჩია დამშვიდებულიყო და თუ ყავის დალევა სურდა, კაფეში შესულიყო. ამაზე ბრალდებული

46 CASE OF NACHOVA AND OTHERS v. BULGARIA paragraph 160 http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-69630

47 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილი.

48 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-850/20.

49 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3246-20.

50 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3246-20.

კიდევ უფრო აგრესიული გახდა და უცნობ ქალს გინება დაუწყო. მიმტანმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ბრალდებულს შეეპასუხა. რის შემდეგაც, ბრალდებულმა დანა ამოიღო და დაზარალებულს ჯერ მარცხენა ყურის მიდამოში, შემდეგ კი, მარცხენა მკერდის მიდამოში დაარტყა. ყვირილზე კაფედან გამოვარდა კაფე-ბარის სხვა თანამშრომელი, ბრალდებული კი გაიქცა.[51]

მოგვიანებით, პროკურატურამ დაკავებულს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით წარუდგინა,[52] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 ნოემბრის განაჩენით ბრალდებული დამნაშავედ ცნეს წარდგენილ ბრალდებაში და შეეფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.[53]

გამოკითხვისას, გამომძიებლის შეკითხვას ბრალდებულმა ასე უპასუხა: „მე იმ ქალს, რომელთანაც მომივიდა სიტყვიერი და ფიზიკური კონფლიქტი, რის შემდგომ რამდენჯერმე დავარტყი დანა ტანის არეში, არ ვიცნობდი, არ ვიცი მისი სახელი და გვარი, მაგრამ **იდგა ისე გამომწვევად**, რომ ჩავთვალე, ის იყო მსუბუქი ყოფაქცევის ქალი“.[54]

ამ განცხადებით, ისევე როგორც დაზარალებულის გამოკითხვით, რომელიც უთითებდა, რომ თავდამსხმელი მას „ბოზო ქალოთი“ მიმართავდა, გამოძიებას ჰქონდა საკმარისი საფუძველი, დანაშაულში გენდერული მოტივი დაენახა. ბრალდებულმა დაზარალებული სექს-მუშაკად აღიქვა, განსაკუთრებით, დანაშაულის ჩადენის ადგილის გათვალისწინებით. პატრიარქალურ საზოგადოებაში სექს-მუშაკობა ქალისთვის შეუფერებელ და დამამცირებელ საქმიანობად მიიჩნევა. სწორედ ამ მოტივით, ბრალდებულმა, დაზარალებულის ქცევის კონტროლი და სექს-მუშაკის საქმიანობის შესრულების გამო დასჯა გადაწყვიტა. ვითარებას არ ცვლის ის გარემოება, რომ სინამდვილეში დაზარალებული არ იყო სექს-მუშაკი. გენდერული, ისევე როგორც შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სხვა დანაშაული, განეკუთვნება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად აღიქვამს დამნაშავე დაზარალებულს კონკრეტული ჯგუფის წევრად. ის გარემოება, რომ დაზარალებული არ არის ამ ჯგუფის წევრი, არ არის გადამწყვეტი გარემოება ქმედებაში შეუწყნარებლობის მოტივის გამოსარიცხად. მთავარია, დამნაშავე, თუნდაც შეცდომით აღიქვამდეს დაზარალებულს კონკრეტული ჯგუფის წევრად, რომლის მიმართაც აქვს შეუწყნარებლობა. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში საკმარისი მტკიცებულებები არსებობდა ქმედების გენდერული ნიშნით მკვლელობის მცდელობად კვალიფიკაციისათვის, თუმცა პროკურატურამ ქმედების ამგვარი კვალიფიკაციისაგან თავი შეიკავა.

ეუთოს პრაქტიკულ სახელმძღვანელოში - „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დევნა“, განხილულია შემთხვევა - შეცდომა მსხვერპლის იდენტობის აღქმისას.[55] ეს არის შემთხვევა, როდესაც დამნაშავე შეცდომით მიაკუთვნებს მსხვერპლს კონკრეტულ ჯგუფს და ამის გამო ჩადის პირის მიმართ დანაშაულს. ეუთოს სახელმძღვანელო განიხილავს შესაძლებლობას, უნდა წაუყენონ თუ არა ასეთ შემთხვევებში ბრალი სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის. ეუთოს ინფორმაციით, წევრი ქვეყნების სახელმწიფოების უმრავლესობა, ითვალისწინებს სიძულვილის დანაშაულის კანონმდებლობის გამოყენებას, როცა დამნაშავე უშვებს აღქმით შეცდომას მსხვერპლის იდენტობასთან დაკავშირებით.[56]

51 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3246-20.

52 განზრახ მკვლელობის მცდელობა.

53 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3246-20.

54 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3246-20.

55 OSCE PROSECUTING HATE CRIMES a practical guide https://www.osce.org/files/f/documents/0/0/124532.pdf გვ. 34.

56 იქვე.

ეუთოს რეკომენდაციით, მსხვერპლის იდენტობასთან დაკავშირებით დამნაშავის მიერ დაშვებული შეცდომის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად კვალიფიკაციის მიზნით, პროკურატურამ უნდა დაამტკიცოს, რომ ბრალდებულს სჯეროდა, რომ მსხვერპლი ეკუთვნოდა კონკრეტულ ჯგუფს და დანაშაული ამ ჯგუფის მიმართ ბრალდებულის სიძულვილის გამო ჩაიდინა. ამავე რეკომენდაციით, როდესაც ბრალდებულს მსხვერპლი უცხოელი ჰგონია და დანაშაულსაც ამის გამო ჩადის, ამ ქმედების სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულად კვალიფიკაციისათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტის დადგენას, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეობა ჰქონდა მსხვერპლს.[57]

აღნიშნულ საქმეში ბრალდებულმა დაზარალებული დანაშაულის ობიექტად იმის გამო აირჩია, რომ შეცდომით აღიქვა სექს-მუშაკად, ბრალდებულის აღქმით, მისი „გამომწვევი ჩაცმულობის" გამო. შესაბამისად, ეს დანაშაული გენდერის ნიშნით ჩადენილად უნდა დაკვალიფიცირებულიყო, იმის მიუხედავად, რომ რეალურად დაზარალებულს არ ახასიათებდა ნიშანი, რის გამოც ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა.

4.4 საქმესთან კავშირში მყოფი ყველა პირისთვის ნიმუშების აღება

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, გამამართლებელი ვერდიქტი მიიღო ქალის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა მეზობლის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობაში,[58] მაგრამ დამნაშავედ ცნეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის.[59]

ამ საქმეში დაზარალებული იყო ახალგაზრდა ქალი ე. ჩ., რომელიც ბინას ქირაობდა სხვა ქალთან ერთად. ბრალდებული ბ. კ. ქმართან ერთად ცხოვრობდა ამავე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ფარდულში. სწორედ ამ ვითარებაში გაიცნეს და დაუმეგობრდნენ ქალები ბ. კ.-ს. ბრალდებული ხშირად ადიოდა ახალგაზრდა ქალების ბინაში, სადაც ასევე სარგებლობდა სახლის სველი წერტილებითაც.

2020 წლის 18 ივლისს ე. ჩ. თავის საცხოვრებელ სახლში მოკლული იპოვეს სხეულზე 24 ჭრილობით. მკვლელობისათვის დააკავეს ბ. კ., რომელმაც საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვისას აღიარა დანაშაული და განაცხადა, რომ 2020 წლის 18 ივლისს იმყოფებოდა საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, სადაც მისი ქმარი სხვა კაცებთან ერთად სვამდა ლუდს. ამ დროს ფანჯრიდან გამოიხედა ე. ჩ.-მ და ბრალდებულს უთხრა, რომ სახლში მარტო იყო და თავისთან ასვლა შესთავაზა. ბ. კ. ავიდა ე. ჩ.-სთან სახლში. ბ. კ.-ს თქმით, ის გაბრაზებული იყო ე. ჩ.-ზე, ვინაიდან მისი ქმრის თანდასწრებით მოკლე კაბით დადიოდა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბ. კ.-მ ე. ჩ.-ს ჰკითხა, რატომ ექცეოდა მის ქმარს გამომწვევად. ამ კითხვაზე ე. ჩ.-მ უპასუხა, რომ მისი ქმარი მოსწონდა. ამაზე ბ. კ. გაღიზიანდა და ე. ჩ.-ს ჩხუბი დაუწყო, შემდეგ დანა აიღო და ე. ჩ.-ს ჯერ ზურგის ქვედა ნაწილში, შემდეგ კი გულმკერდის არეში დაარტყა. ამის შემდეგ ე. ჩ. ბ. კ.-ს მხარეს შებრუნდა და მოქნეული დანა ამჯერად ყურის არეში მოხვდა. ე. ჩ.-მ ყვირილი მორთო და შველას ითხოვდა. ამის შემდეგ ბ. კ.-მ კარზე ბრახუნის ხმა გაიგონა, როდესაც კარი გააღო, დაინახა თავისი მეუღლე და მასთან ერთად რამდენიმე კაცი. ცოლ-ქმარი თავიანთ კუთვნილ ფარდულში ჩავიდა, სადაც ბ. კ.-მ გაიხადა სისხლიანი

57 OSCE PROSECUTING HATE CRIMES a practical guide https://www.osce.org/files/f/documents/0/0/124532.pdf გვ. 34.

58 დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.

59 დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ტანსაცმელი და ქმრის ტანსაცმელი ჩაიცვა. შემდეგ ბ. კ.-მ მდინარის ხეობაში ისროლა დანა და ე. ჩ.-ს სახლის გასაღები. იქვე ბ. კ.-მ დაწვა თავისი სისხლიანი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას, ამოღებულია ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ნამწვავის ნარჩენები.

აღიარებითი ჩვენება ბ. კ.-მ გამოძიების მიმდინარეობისას მისცა. დანაშაულის დაფარვისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში ასევე მიეცა რამდენიმე კაცი, რომელმაც ნახა, როგორ გამოდიოდა ბ. კ. დაზარალებულის სახლიდან და ამის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს არ აცნობა. გამოძიების ბოლო ეტაპზე ცნობილი გახდა გენეტიკური (ბიოლოგიური, ტრასოლოგიური) ექსპერტიზის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ შემთხვევის ადგილთან, კედელზე აღმოჩენილი სისხლისმაგვარი ლაქის ნიმუშები წარმოადგენდა ადამიანის სისხლს, რომელიც არც ბრალდებულს ეკუთვნოდა და არც დაზარალებულს, არამედ მდედრობითი სქესის სხვა პირს.

საქმის გამოძიებისას დაინიშნა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, ექსპერტიზაც. ამოღებულ მტკიცებულებებზე ჩატარებული ექსპერტიზა ადასტურებდა, რომ ტანსაცმელსა თუ სხვა ნივთებზე არსებული ბიომასალები დაზარალებულს, ბრალდებულს, მდედრობითი სქესის სხვა პირსა და ბრალდებულის ქმარ გ. გ.-ს ეკუთვნოდა.

გამოძიებამ ბრალდებულის და მისი ქმრის საცხოვრებელი ადგილის დათვალიერებისას ამოიღო ჟაკეტი, რომელზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენდა ადამიანის სისხლს, რომელიც დაზარალებულს ეკუთვნოდა. ამავე ჟაკეტზე აღმოჩნდა ადამიანის ბიომასალა, შერეული გენეტიკური პროფილებით, რომელთა ერთი წილი ეკუთვნოდა ბრალდებულს, მეორე წილი - მის ქმარს.

საქმის სასამართლო განხილვისას ბრალდებულმა უარყო დაზარალებულის მკვლელობა. ამით მისი გამოკითხვისას გამოძიებისათვის მიწოდებული აღიარებითი ინფორმაცია დაუშვებლად ცნეს. დაცვის მხარემ, ალტერნატივის სახით, ნაფიც მსაჯულებს წარუდგინა ვერდიქტის პროექტი, რომლის მიხედვითაც, ბრალდებული უდანაშაულოდ უნდა ეცნოთ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში და დამნაშავედ ეცნოთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის. საბოლოოდ, ნაფიცმა მსაჯულებმა გაიზიარეს დაცვის მხარის პოზიცია და ბრალდებული უდანაშაულოდ ცნეს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში, და დამნაშავედ ცნეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულმა სასამართლოში არ აღიარა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა, მის წინააღმდეგ ერთადერთი მამხილებელი პირდაპირი მტკიცებულება გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნა იყო, რაც მიუთითებდა, რომ ბრალდებულის საცხოვრებელ ადგილას აღმოჩენილ ქალის ტანსაცმელზე დაზარალებულის სისხლი იყო დარჩენილი. ამავე ტანსაცმელზე დარჩენილი იყო თავად ბრალდებულის გენეტიკური პროფილიც.

აქვე მხედველობაშია მისაღები ის სირთულე, რასაც სამართალდამცავები წააწყდნენ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას. მოწმეების უმრავლესობამ, ქურდული მენტალიტეტის გამო, უარი თქვა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე. ამის გამო, გამოძიება იძულებული გახდა, სასამართლოს განჩინებით ფარული საგამოძიებო მოქმედებები ჩაეტარებინა. ამის მიუხედავად, ვერც აღნიშნულმა საგამოძიებო მოქმედებამ მოიტანა სასურველი შედეგი, ვინაიდან მეზობლები ბრალდებულის მიერ გამოკითხვისას გაჟღერებულ ბრალის აღიარების ვერსიას იმეორებდნენ.

მართალია, გამოძიება რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან მოწმეები გამოძიებასთან არ თანამშრომლობდნენ, თუმცა, ამის მიუხედავად, იგი ხარვეზიანი იყო, რამაც საბოლოო ჯამში საქმეზე გამამართლებელი ვერდიქტის მიღება გამოიწვია. დაზარალებულის სახლში უცნობი ქალის გენეტიკური პროფილის აღმოჩენის შემდეგ გამოძიებას არ უცდია, ნიმუშები აეღო საქმესთან შესაძლო შემხებლობაში მყოფი ყველა პირისგან. სწორედ იმის გამო, რომ გამოძიებამ ვერ აიღო სხვა პირების ნიმუშები და არ ჩაატარა მასზე ბიოლოგიური (ტრასოლოგიური, სეროლოგიური) ექსპერტიზა, ნაფიც მსაჯულებში გააჩინა ეჭვი, რომ, შესაძლოა, დანაშაული არა ბრალდებულის, არამედ სხვა ქალის მიერ იყო ჩადენილი. ბრალდებამ ეჭვის გასაქარწყლებლად ვერ წარადგინა დამაჯერებელი არგუმენტები და მტკიცებულებები, რის გამოც ნაფიცმა მსაჯულებმა ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვიტეს და მკვლელობის ბრალდებაში გაამართლეს.

საინტერესო იქნებოდა ამ საქმის შედარება, მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმესთან,[60] სადაც ახალგაზრდა კაცმა თავისი ნათესავი ქალი მოკლა და ამის შესახებ ტელეფონით თავის ძმას შეატყობინა. იმის გასარკვევად, ქალი ნამდვილად ცოცხალი იყო თუ არა, ბრალდებულის ძმა დაზარალებულთან მივიდა, ფანჯრიდან შევიდა სახლში და დარწმუნდა, რომ ქალი ნამდვილად მოკლული იყო. იმის გამო, რომ მკვლელობის ადგილთან შეხება ჰქონდათ როგორც ბრალდებულს, ისე მის ძმას, გამოძიებამ ორივეს აუღო ნიმუშები და ბიოლოგიურ ექსპერტიზაზე გადააგზავნა. შემთხვევის ადგილას შეხების მქონე პირებისათვის ნიმუშების აღება, ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა გონივრულ ეჭვს მიღმა დასადასტურებლად ან გამოსარიცხად, რომ დანაშაული, სწორედ ბრალდებულმა და არა სხვა პირმა ჩაიდინა. ხოლო სხვა პირების ყოფნა შემთხვევის ადგილზე დანაშაულის ჩადენასთან არ არის დაკავშირებული.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განხილულ საქმეზე ბრალდებულის აღიარების შემდეგ, გამოძიება თითქმის არ განიხილავდა ვერსიას, რომ მკვლელობა, შესაძლოა, სხვა პირს ჩაედინა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ბრალდებულის, მისი ქმრის და დაზარალებულის გვამის გარდა, ნიმუშები არავისთვის არ აუღიათ. გენეტიკური (ბიოლოგიური, ტრასოლოგიური) ექსპერტიზის დასკვნაც, გამოძიების დასრულებისას მიიღეს, როდესაც საქმე წინასასამართლო სხდომაზე უნდა წარმართულიყო. ამ დასკვნით, დაზარალებულს მკვლელობამდე ბრალდებულის გარდა ბევრ სხვა ადამიანთან, მათ შორის, ბრალდებულის ქმართანაც, ჰქონდა შეხება. იმის გამო, რომ წინასასამართლო სხდომაზე მხარეებს ერთმანეთისათვის უნდა გაეცვალათ უკვე მოპოვებული მტკიცებულებები, გამოძიებას პრაქტიკულად აღარ ჰქონდა დრო, მკვლელობის სხვა ვერსიებზე ემუშავა ან მოეპოვებინა დამატებითი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა იმას, რომ ბინაში აღმოჩენილი სხვა გენეტიკური მასალები საცხოვრებელ ბინაში ბრალდებულის მისვლამდე იყო დატოვებული.

გამოძიებამ ასევე ვერ ახსნა, ექსპერტიზის დასკვნის შედეგად რატომ აღმოჩნდა ბრალდებულის ქმრის თანამონაწილეობა დაზარალებულის დნმ-თან, როდესაც სხვა მტკიცებულებებით მათ ერთმანეთთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ. ბრალდებამ დამაჯერებელი პასუხი ვერც იმ კითხვას გასცა, ვის ეკუთვნოდა მკვლელობის ჩადენის ადგილის ახლოს აღმოჩენილი სისხლი, თუკი ის არც ბრალდებულს ეკუთვნოდა და არც დაზარალებულს. კითხვებზე პასუხი ადვილი გასაცემი იქნებოდა, გამოძიებას საწყის ეტაპზევე რომ აეღო ნიმუშები მკვლელობასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული პირებისათვის. ეს საგამოძიებო ორგანოების მიერ დაშვებულ შეცდომად შეიძლება შეფასდეს.

ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლობა ნიშნავს, რომ პროკურატურა მოკლებული იყო შესაძლებლობას, გონივრულ ეჭვს მიღმა დაემტკიცებინა ბრალდებულის მიერ მკვლელობის ჩადენა. ასეთ

60 მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/259-20.

სიტუაციაში ნაფიცმა მსაჯულებმა ეჭვები ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვიტეს და მის მიმართ მკვლელობის ეპიზოდში გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანეს. აღსანიშნავია, რომ როდესაც ადამიანს უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, აუცილებელია პროკურატურამ გამორიცხოს ყველა ეჭვი, რომ მკვლელობა სწორედ ბრალდებულმა და არა სხვა ადამიანმა ჩაიდინა. სისხლის სამართლის საქმეზე კი, პროკურატურას დამაჯერებელი არგუმენტები არ ჰქონია ამ ეჭვების გასაქარწყლებლად.

ეს საქმე ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ დაუშვებელია გამოძიება დამოკიდებული იყოს მხოლოდ ბრალდებულის აღიარებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღიარებამდე ბრალდებული, როგორც თავად აცხადებს, სასტიკად სცემეს,[61] არ განიხილოს მკვლელობის სხვა ვერსიები და არ შეაგროვოს მკვლელობასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული პირების ნიმუშები შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ დნმ-თან შესადარებლად.

4.5 მსხვერპლის დისკრედიტაცია

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ ერთ-ერთ ფემიციდის საქმეზე62 ბრალდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა გამომძიებელს და აღნიშნა, რომ მკვლელობამდე დაზარალებული ქალი „სისტემატურად ეწეოდა გარყვნილ ქმედებას". ადვოკატი ასევე აცხადებდა, რომ მოკლული ქალის ძმამ ქმარს, ფეისბუკის მეშვეობით, „გარყვნილი ქმედების ამსახველი" ფოტოები გადაუგზავნა. ადვოკატმა კომპიუტერული სისტემიდან ამ ფოტოების ამოღებისა და სისხლის სამართლის საქმისთვის მათი დართვისთვის იშუამდგომლა.

არსებობის შემთხვევაში, ამ ფოტოების ამოღება არანაირ კავშირში არ იყო ფემიციდის საქმესთან. საქმეზე არსებული სხვა ჩვენებებით ისედაც დასტურდებოდა, რომ ბრალდებულმა ყოფილი ცოლი ასაკით უფროს კაცთან ინტიმური კავშირის გამო მოკლა. ცალკე აღებული ამ ფოტოების მოპოვება, შენახვა და გავრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფის დანაშაულის შემადგენლობას ქმნიდა. მსხვერპლის ძმასთან ერთად, ამას შეიძლება მოჰყოლოდა ბრალდებულის პასუხისგებაში მიცემა. ცხადია, თავად დაცვის მხარისთვის საზიანო ეს შუამდგომლობა მიზნად ისახავდა მხოლოდ და მხოლოდ მოკლული ქალის დისკრედიტაციას. მართალია, გამომძიებელს ამ შუამდგომლობის საპასუხოდ რაიმე საპროცესო ღონისძიება არ განუხორციელებია, თუმცა მსხვერპლი ქალის ძმის და ყოფილი მეგობარი კაცის გამოკითხვისას, გამომძიებელი დაინტერესდა, მართლა არსებობდა თუ არა ამგვარი ფოტოები.

ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის[63] მიხედვით, დაზარალებულის წარსული სექსუალური ცხოვრების ან ქცევის შესახებ მტკიცებულებების წარდგენა/გამოკვლევა უნდა აიკრძალოს მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე და დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ საჭიროებისა და შესაბამისობის შემთხვევაში.

61 დაზარალებული აცხადებდა, რომ დაკავებამდე მას და მის ქმარს ქუჩაში უცხო პირები თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

62 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/181-20.

63 თემატური ანგარიში: გაუპატიურება, როგორც ადამიანის უფლებების მძიმე, სისტემატიური და გავრცელებული დარღვევა, დანაშაული და ქალებისა და გოგოების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის გამოვლინება და მისი პრევენცია. მისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/37s88FK

4.6 ფემიციდით დაზარალებული ბავშვები

2020 წელს საქართველოს პროკურატურის მხრიდან წინგადადგმული ნაბიჯია მოკლული ქალების იმ მცირეწლოვანი თუ არასრულწლოვანი შვილების დაზარალებულად ცნობა, რომლებიც შეესწრნენ ფემიციდის შემთხვევას ან გაიგონეს მსხვერპლის ხმა.[64] აქედან ერთ-ერთ საქმეში, დაზარალებულისა და ბრალდებულის სამმა არასრულწლოვანმა შვილმა ცეცხლსასროლი იარაღის ხმა გაიგონა, რის შედეგადაც მამამ დედა მოუკლა, ამან მათ მორალური ზიანი მიაყენა. ბავშვები დაზარალებულად ცნეს, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ძალადობის მსხვერპლად აღიარონ ბავშვები, რომლებიც შეესწრნენ ოჯახში ძალადობას. „ძალადობის მოწმე ბავშვი" არ გულისხმობს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბავშვები უშუალოდ ესწრებიან ძალადობის სცენებს, არამედ მოიაზრებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ბავშვებს ესმით ყვირილი ან ძალადობის ამსახველი სხვა ხმები, ანდა ხანგრძლივად განიცდიან ძალადობის შედეგებს. საქართველოს პროკურატურამ მსხვერპლი ქალის სამი შვილი დაზარალებულად ცნო. ამის პარალელურად, დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი მიიღეს არასრულწლოვნების ბებიამ და მოკლული ქალის დედამ.[65]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ასრულებს დანაშაულის შედეგად უშუალოდ დაზარალებულისათვის მინიჭებულ უფლებებს და ახორციელებს მის მოვალეობებს. რაც შეეხება დაზარალებულ ბავშვებს, უფლებამონაცვლისაგან განსხვავებით, ისინი სისხლის სამართლის პროცესში არა ფემიციდის მსხვერპლისთვის, არამედ მათთვის მიყენებული ზიანის გამო მონაწილეობენ. დაზარალებულის სტატუსის მიღების შემდეგ, ისინი მათი ასაკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით იკითხებიან ან გამოიკითხებიან. მაგალითად, გამომძიებელი მათგან ინფორმაციას დანაშაულის შესახებ, ბავშვის მიერ შესრულებული ნახატების მეშვეობით იღებს. დაზარალებულის სტატუსი ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, ადვოკატის მეშვეობით ან პირადად, სასამართლოს მიაწოდონ ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რაც მათ ფემიციდის შედეგად მიიღეს.

იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთ საქმეში გორის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მკვლელობა არ მომხდარა ბავშვების თანდასწრებით და შესაბამისად, სახეზე არ იყო განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობა (სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 109 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი), სხვა ოთახში მყოფი შვილებისათვის, რომლებმაც სროლის ხმა გაიგონეს, მიყენებული ტრავმა სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინეს.[66] ანალოგიურად, გორის რაიონულმა სასამართლომ გაითვალისწინა დაზარალებულად აღიარებული იმ 5 წლის ბავშვის ტრავმა, რომელსაც მამამ დედა ცულით მოუკლა.[67]

4.7 ძალადობის წინარე ისტორიის შესწავლა

ქალის მკვლელობისა თუ მკვლელობის მცდელობის ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად შესაფასებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ის, ჰქონდა თუ არა ადგილი აღნიშნულ ფაქტამდე დამნაშავის მხრიდან მსხვერპლის მიმართ გენდერულ დისკრიმინაციასა თუ ძალადობას.

64 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/490-20; გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/181-20.

65 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/490-20.

66 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/490-20.

67 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/181-20.

გარდა ამისა, ძალადობის წინა ისტორიის შესწავლა აუცილებელია დანაშაულის მოტივის გამოსაკვლევად და ადეკვატური სასჯელის შესაფარდებლად.

საქართველოს სახალხო დამცველმა წინამდებარე ანგარიშში მოყვანილ საქმეებზე შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია ფემიციდამდე ან ფემიციდის მცდელობამდე წინარე შეტყობინების თაობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის შესწავლილი 23 საქმიდან, ამგვარი წინასწარი შეტყობინებები დაზარალებულის მხრიდან ბრალდებულის მიმართ გაკეთებული იყო 8[68] საქმეზე.[69] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 8-ვე შემთხვევაში ამგვარი წინასწარი შეტ-ყობინებების შესახებ დაინტერესდა გამოძიება, რომელმაც გამოითხოვა და მკვლელობის საქმეებს დაურთო ადრეული შეტყობინებების დამადასტურებელი შემაკავებელი ორდერის თუ განაჩენების ასლები. ორ საქმეში წინასწარი შეტყობინება დაზარალებულმა გააკეთა არა შემდგომში ფემიციდის ჩამდენი ქმრის, არამედ ოჯახის სხვა წევრის წინააღმდეგ, თუმცა ეს შეტყობინება და მის საფუძველზე გამოცემული შემაკავებელი ორდერი ერთვის სისხლის სამართლის საქმეს.[70]

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, რომელიც ქმრის მიერ ცოლის მკვლელობას ეხებოდა, წინასწარი შეტყობინება გააკეთა არა მსხვერპლმა, არამედ დედა-მისმა, ბრალდებულის სიდედრმა. ამ შემთხვევაში სიდედრი სიძეს ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებდა. 2019 წელს სიძე დამნაშავედ ცნეს სიდედრის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, რაც ბრალდებულის არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით მოხდა და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, საიდანაც 6 თვე განესაზღვრა პირობითად, ხოლო დანარჩენი 6 თვე - პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით. ამ სისხლის სამართლის საქმის მასალები დაერთო ბრალდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ, უკვე ცოლის მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეს.[71]

ერთ-ერთი შეტყობინება ეხება მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს, როდესაც ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირმა თავისი დედა და და მოკლა.[72] შსს-ს ინფორმაციით, 2018 წლის 5 მაისს, დის მიმართ ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე, ძმის მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოსცეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე,[73] რომელიც ეხება დედამთი-ლის მიერ რძლის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანას, 2019 წლის 19 აგვისტოს ერთობლივი შეტყობინება გააკეთეს რძალმა და დედამთილმა, ამის შედეგად ორივეს მიმართ გამოიცა შემა-კავებელი ორდერი. ამ სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვება ინფორმაცია ამგვარ წინასწარ შეტყობინებაზე.

2020 წლის 4 თებერვალს ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის საქმესთან[74] დაკავშირებით ადრეული

68 ამ 8 საქმის გარდა შეტყობინება ფიქსირდება კიდევ 1 საქმეში, სადაც სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის შეურაცხადობის გამო შეწყდა.

69 აქვე, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საქმეში შეტყობინებები არ ყოფილა, თუმცა ბრალდებული ქალის მკვლელობამდე სიდედრის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის იხდიდა სასჯელს. ასევე, ერთ-ერთ შემთხვევაში, იკვეთება შეტყობინება დაზარალებული ქალის მიმართ ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ჩადენილ ძალადობაზე. 8 საქმიდან ერთ-ერთი საქმე ძმის მიერ დაზე ძალადობას ეხება, თუმცა საბოლოოდ ამ საქმეში ძალადობის მსხვერპლი ქალი ქმარმა მოკლა.

70 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/181-20.

71 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-671-20.

72 მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/102-20.

73 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №2251-20.

74 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/333-20.

შეტყობინება გაკეთდა ქმრის მიერ ცოლის მიმართ ჩადენილ შესაძლო ფიზიკურ ძალადობაზე. შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სამმართველოში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო. ამ სისხლის სამართლის მასალები, დაზარალებულის, ბრალდებულის, ბრალდებულის დედისა და მამინაცვლის გამოკითხვის ოქმები, ბრალდებულის მიმართ გამოცემულ შემაკავებელ ორდერთან ერთად დაერთო ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეს. საბოლოოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის განაჩენით, მკვლელობასთან ერთად, ბრალდებული დამნაშავედ ცნეს ოჯახის წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერით დაკისრებული ვალდებულების დარღვევისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-383 მუხლები).

2020 წლის 5 მარტს ქმრის მიერ დანის მრავალჯერადი დარტყმით მოკლულმა ყოფილმა ცოლმა წინასწარი შეტყობინება ორჯერ გააკეთა:[75] პირველად, 2016 წლის 4 თებერვალს, ხოლო მეორედ - 2018 წლის 26 სექტემბერს. პირველი შეტყობინება ეხებოდა დედამთილთან კონფლიქტს, ხოლო მეორე შეტყობინება - კონფლიქტს ქმართან და დედამთილთან. მეორე კონფლიქტის მიზეზი ის იყო, რომ ქმარი და დედამთილი დაზარალებულს შვილებს თან არ ატანდნენ. მესამე შეტყობინება დაზარალებულის წინააღმდეგ ბრალდებულმა გააკეთა. მისი განცხადებით, დაზარალებულმა დაურეკა და შერიგება სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ამის გამო დაზარალებულმა ბრალდებულს შეურაცხყოფა მიაყენა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე,[76] რომელიც ეხებოდა 2020 წლის 4 ივლისს კაცის მიერ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალის დაჭრას სხვა ქალზე ეჭვიანობის გამო, წინასწარი შეტყობინება ორჯერ გაკეთდა: პირველად, 2017 წლის 28 აგვისტოს, კონფლიქტური სიტუაციის შესახებ, რომელიც ვერ დადასტურდა. მეორე შეტყობინება გაკეთდა 2018 წლის 29 მაისს, როდესაც დაზარალებული პარტნიორ კაცს ძალადობაში ადანაშაულებდა. ამ ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ბრალდებულის მიერ ყოფილი ცოლისათვის მიყენებულ ჭრილობებს წინ უძღოდა ძალადობის არაერთი ფაქტი.[77] 2019 წლის 17 ნოემბერს, დაზარალებულზე ფსიქოლოგიური ძალადობის გამო, ბრალდებულის მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოიცა. მოძალადემ დაარღვია შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, აკრძალვის მიუხედავად, მიუახლოვ- და მსხვერპლს და დაამყარა მასთან კომუნიკაცია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რის გამოც, 2019 წლის 21 ნოემბერს ბრალდებული პოლიციამ დააკავა, თუმცა თბილისის საქალა- ქო სასამართლომ შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევის დანაშაულის ჩადენის ეპიზოდში ბრალდებულს გირაო შეუფარდა. ამის შემდეგ ბრალდებულმა კვლავ დაარღვია შემაკავებელი ორდერის მოთხოვნები და 2019 წლის 27 ნოემბერს მივიდა მსხვერპლის სახ- ლთან. პოლიციამ ბრალდებული კვლავ დააკავა, თუმცა ამჯერად სასამართლომ მის მიმართ პატიმრობა გამოიყენა.

2020 წლის 5 ოქტომბერს ყოფილი ქმრის მიერ ცოლისათვის სიცოცხლისათვის საშიში დაზი- ანების მიყენებას წინ უძღოდა სიცოცხლის მოსპობის მუქარა დაზარალებულისა და მისი შვილის მიმართ.[78] ამის გამო, სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ მუქარა), ბრალდებულს ბრალი წარედგინა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 22 სექტემბრის განაჩენით, ორი წლის ვადით პირობითი მსჯავრი შეეფარდა.

75 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/249-20.

76 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-850/20.

77 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1903-20.

78 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4332-20.

5. ხარვეზები სასამართლო განხილვისას

5.1 სასამართლოს უმოქმედობა, შესაძლებელი გახადოს ფემიციდის თავიდან არიდება

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სასჯელის ერთ-ერთი მიზანია მსჯავრდებულის იზოლირება იმ ვადით, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს დანაშაულის განმეორების თავიდან აცილებას. პრევენცია, რესოციალიზაციასა და სამართლიანობის აღდგენასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლაში. საანგარიშო პერიოდში გვხვდება განაჩენები, რომლითაც სასამართლო იყენებს ზედმეტად ხანმოკლე ან ლმობიერ სასჯელებს, რაც ძალადობის მსხვერპლ ქალს დაუცველს ტოვებს მოძალადის გათავისუფლების შემთხვევაში დანაშაულის განმეორებისაგან. ერთ-ერთ საქმეში[79] სწორედ მოძალადის მიმართ ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთის გამოყენება იყო დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი. ამასთანავე, დანაშაულის თავიდან არიდების თვალსაზრისით, სასჯელის გამოყენებისას სასამართლოები არ ამოწმებენ იმას, თუ რამდენად არის აღმოფხვრილი ის მიზეზები, რამაც ფემიციდის მცდელობა გამოიწვია. [80]

2020 წლის 15 თებერვალს, ღამის საათებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, 2019 წლის 25 სექტემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით[81] და 11[1]- 150-ე მუხლის პირველი ნაწილით[82] ნასამართლევმა პირმა არასრულწლოვანი შვილის და დის თანდასწრებით, ეჭვიანობის გამო, თავის მეუღლეს დანით ყელი გამოსჭრა. ამ დანაშაულის ჩადენისას, ბრალდებული პირობით ვადაზე ადრე იყო გათავისუფლებული სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

ფემიციდის ჩადენამდე ბრალდებული ნასამართლევი იყო სიდედრის მიმართ ჩადენილ ოჯახში ძალადობისა და მუქარის დანაშაულში. ბრალდებული დამნაშავედ ცნეს 2019 წელს სიდედრის მიმართ ჩადენილ ძალადობაში და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, საიდანაც 6 თვე განესაზღვრა პირობითად, ხოლო დანარჩენი 6 თვე - პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით. განაჩენი შეუსაბამოდ ლმობიერად მიიჩნია პროკურატურამ და სააპელაციო საჩივრით ითხოვა სასჯელის დამძიმება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა, ვინაიდან ბრალდებული არ იყო ნასამართლევი, მან აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან. სააპელაციო სასამართლომ ვერ დაინახა ძალადობის განმეორების რისკი, ვინაიდან წარსულში სიძეს სიდედრზე არ უძალადია.

ერთ-ერთ საქმეში, ბრალდებულმა 2019 წლის 17 დეკემბერს მოიხადა სასჯელი და სოციალური ქსელის მეშვეობით განაახლა მუქარები სიდედრის მიმართ, რომელსაც ცოლთან დაშორებაში ადანაშაულებდა. ბრალდებულის ეშინოდა ყოფილ ცოლსაც, რომელსაც საზღვარგარეთ სურდა გაქცევა, სადაც ბრალდებული ვერ მიაგნებდა. საბოლოოდ, ბრალდებულმა თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა და 2020 წლის 15 თებერვალს ყოფილი ცოლი დანით მოკლა.[83] ეს საქმე ნათელი მაგალითია იმისა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ფაქტობრივად მოსახდელი

79 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-671-20.

80 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/155-20.

81 არასრულწლოვანის თანდასწრებით ოჯახის წევრზე ძალადობა

82 ოჯახის წევრის მიმართ მუქარა

83 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-671-20.

სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა იმდენად ხანმოკლე იყო, რომ პრევენციის მიზანს ვერ მიაღწევდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა, როდესაც ხანმოკლე პატიმრობიდან გათავისუფლებულმა პირმა ოჯახის წევრის მიმართ უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ორი ასეთი საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომაც. 2020 წლის 10 თებერვალს, თ. ე.-ს თბილისის ერთ-ერთ მეტროსადგურთან თავს დაესხა ყოფილი ქმარი გ. ბ., რომელმაც ხელი მოხვია, ყურში ჩასჩურჩულა, „უხ შენი" და მარჯვენა ხელით საკანცელარიო დანა ყელის არეში სამჯერ გამოუსვა.[84]

თ. ე.-მ 2019 წლის 15 მარტიდან დაიწყო გ. ბ.-სთან ერთად ცხოვრება, 2019 წლის 21 მაისს კი, ქორწინება დაარეგისტრირა. თ. ე.-ს წინა ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავდა. გ. ბ.-მ ცოლზე ეჭვიანობა დაიწყო, აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ბრალდებული ცოლს უკრძალავდა მუშაობას, გარეთ გასვლას, მეგობრებთან შეხვედრას, მათთან ერთად სადმე წასვლას. გარდა ამისა, მამინაცვალი ცუდად ექცეოდა გერებს, რის გამოც თ. ე.-მ ბავშვები კახეთში წაიყვანა და მშობლებთან დატოვა. ოჯახში ძალადობის გამო თ. ე.-მ პოლიციაში იჩივლა, რის გამოც ქმარს 2019 წლის 17 ნოემბერს შემაკავებელი ორდერი გამოუწერეს, ხოლო ორი დღის შემდეგ, 2019 წლის 19 ნოემბერს თ. ე. განქორწინდა გ. ბ.-სთან. ამის მიუხედავად, გ. ბ. არღვევდა შემაკავებელი ორდერის პირობებს, თ. ე.-სთან სახლში მიდიოდა, ურეკავდა და შერიგებას სთხოვდა. თ. ე. დარწმუნებული იყო, რომ გ. ბ. აღარ გამოსწორდებოდა, ამიტომ შერიგებაზე უარს ეუბნებოდა. ამის გამო, გ. ბ. კვლავ ძალადობდა ყოფილ ცოლზე.[85]

2019 წლის 20 ნოემბერს გ. ბ. შემაკავებელი ორდერის დარღვევის გამო დააკავეს და შეუფარდეს 3000 ლარის ოდენობის გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით. ბრალდებულმა თანხა გადაიხადა და პენიტენციური დაწესებულება დატოვა. გათავისუფლებული ბრალდებული იღებდა ალკოჰოლურ სასმელს, არღვევდა შემაკავებელი ორდერის პირობებს, მიდიოდა ყოფილ ცოლთან და აყენებდა მას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. დაზარალებულმა კვლავ მიმართა პოლიციას და 2019 წლის 27 ნოემბერს გ. ბ. ისევ დააკავეს შემაკავებელი ორდერის დარღვევისათვის. მართალია, ამჯერად ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდეს, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2019 წლის 23 დეკემბრის განაჩენით, გ. ბ. დამნაშავედ ცნო სსკ-ის 11[1]-381 მუხლით[86] გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. რადგანაც გ. ბ.-მ აღიარა დანაშაული, მას სასჯელის სახედ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, რაც ჩაეთვალა პირობითად და ამით მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.[87]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 დეკემბრის განაჩენით, პირობითი სასჯელის დანიშვნის ძირითადი მიზეზი გახდა „გამოძიებასთან თანამშრომლობა, დანაშაულის აღიარება და გულწრფელი სინანული. მხედველობაში იქნა მიღებული ასევე ის ფაქტიც, რომ ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს ჩადენილი დანაშაულის გასაკიცხაობა, რაზეც მიუთითებს მისი მხრიდან მტკიცებულებების უდავოობა". ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლომ გაითვალისწინა დამნაშავე პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და მიიჩნია, რომ „საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, პირობითი მსჯავრითაც მიღწევადია სასჯელის მიზნები".[88]

84 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1903-20.

85 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1903-20.

86 ოჯახის წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობა.

87 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1903-20.

88 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1903-20.

სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთი მიზანი დანაშაულის თავიდან არიდებაა. სასამართლოს მოცემულ საქმეში ჰქონდა შესაძლებლობა, დაენახა, რომ გირაო არ აღმოჩნდა შემაკავებელი ფაქტორი იმისთვის, რათა ბრალდებულს, შემაკავებელი ორდერის დარღვევით, ძალადობა არ გაემეორებინა. იმ გარემოებამ, რომ 2019 წლის 17-20 ნოემბრის ეპიზოდთან დაკავშირებით სასამართლომ არ მოახდინა ბრალდებულის იზოლირება და მხოლოდ გირაოთი შემოიფარგლა, ბრალდებულს შესაძლებლობა მისცა გაეგრძელებინა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა.

შემაკავებელი ორდერის მოთხოვნების დარღვევა ნაკლებად მძიმე დანაშაულია. ამის მიუხედავად, გასათვალისწინებელია ოჯახური დანაშაულების სპეციფიკა, რაც ჯაჭვური განგრძობადობით ხასიათდება. ზოგ შემთხვევაში, მოძალადე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებისთანავე განაგრძობს მსხვერპლი ოჯახის წევრის მიმართ ძალადობას. სასამართლოს სიფრთხილის გამოჩენა მართებდა, როდესაც „აღიარების“ და მტკიცებულებათა უდავოდ ცნობის გამო, სისტემატურ მოძალადეზე შეღავათს ავრცელებდა. ასეთ პირობებში, მკაცრი სასჯელის შერჩევის გზით, სასამართლომ უნდა გაწყვიტოს ძალადობრივი ქმედებების ჯაჭვი და ამით უზრუნველყოს სასჯელის პრევენციული მიზნების მიღწევა.

მაშინ როდესაც მოსამართლისათვის ცნობილი იყო, რომ გირაოს პირობით გათავისუფლებულმა ბრალდებულმა კვლავ იძალადა ყოფილ ცოლზე, სრულიად დაუსაბუთებელი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ სასჯელის პრევენციული მიზნები მსჯავრდებულის იზოლაციის გარეშეც მიიღწეოდა. სასამართლოს ამგვარი დასკვნის მცდარობა დადასტურდა მისი მიღებიდან 13 დღეში, როდესაც გათავისუფლებულმა მსჯავრდებულმა ოჯახური ძალადობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში - ცოლის მკვლელობის მცდელობაში გადაზარდა. ამგვარი შედეგი მოსამართლისათვის 13 დღით ადრეც სრულიად განჭვრეტადი იყო, ვინაიდან მსჯავრდებული გამუდმებით არღვევდა როგორც შემაკავებელ ორდერს, ისე სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაოს პირობებს და განაგრძობდა ქმედებას, რისთვისაც არასაპატიმრო ხასიათის შეზღუდვები დაუწესეს.

სწორედ ფემიციდის თავიდან არიდების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი რეციდივის არსებობის შემთხვევაში, სასამართლომ უარი თქვას პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე, სასჯელის ერთ-ერთი ფუნქციის - დანაშაულის თავიდან არიდების მისაღწევად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული მეორე საქმე ეხებოდა 2020 წლის 5 ოქტომბერს ყოფილი ქმრის მიერ ცოლისათვის მუცლისა და კისრის არეში დანით ჭრილობების მიყენებას იმის გამო, რომ ქალს არ უნდოდა ყოფილი ქმრის თანდასწრებით მობილურ ტელეფონზე ელაპარაკა, ამიტომ სახლიდან გარეთ გავიდა. ყოფილი ცოლის ამგვარმა ქცევამ ბრალდებულის ეჭვიანობა გამოიწვია და მან დაზარალებულს სამზარეულოს დანით სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა. ამ დანაშაულის ჩადენამდე ორი კვირით ადრე თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო ცოლისა და გერის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარაში.[89] სასამართლომ პირს დაუნიშნა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად და გათავისუფლდა სასამართლო დარბაზიდან. ვინაიდან განზრახ ნაკლებად მძიმე დანაშაული იყო ჩადენილი, ის აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს.[90]

იმის მიუხედავად, რომ ბრალდებული ალკოჰოლზე დამოკიდებული იყო, მისი მოხმარების დროს კი ყოფილ ცოლზე ძალადობდა, სასამართლომ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას მხედველობის მიღმა დატოვა სასჯელის პრევენციული მიზანი და პირობითი მსჯავრის გამოყენებით,

89 დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

90 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4332-20.

2020 წლის 22 სექტემბერს, ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. ორ კვირაში, ბრალდებულმა რეალობად აქცია ის ქმედება, რის გამოც სასამართლომ პირობითი მსჯავრი დააკისრა - ყოფილი ცოლის მოკვლას შეეცადა. ამ საქმეშიც, დანაშაულის განმეორების რისკების შეუფასებლად, პირობითი მსჯავრის გამოყენებით, სასამართლო ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ფემიციდის მცდელობის თავიდან არიდება.

კიდევ ერთი საქმე, სადაც სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი არ ემსახურებოდა დანაშაულის თავიდან არიდების მიზნის მიღწევას, განიხილა გორის რაიონულმა სასამართლომ.[91] 2020 წლის 4 იანვარს დაზარალებულმა ქალმა თვითმკვლელობა სცადა. მიზეზი ის იყო, რომ მისი ქმარი 2016 წლიდან სვამდა და მეუღლის მიმართ აგრესიას გინების სახით გამოხატავდა. ბრალდებული ცოლის მიმართ აგრესიული ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ხდებოდა და ცოლის ღირსების შელახვას მეზობლების თანდასწრებითაც კი არ ერიდებოდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო, მათ შორის, თვითმკვლელობის ცდაში და დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. 3 წელი სასამართლომ ბრალდებულს პირობითად ჩაუთვალა და სპეციალური პენიტენციური დაწესებულებიდან გაათავისუფლა. გორის რაიონულმა სასამართლომ ოჯახში ძალადობისა[92] და თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის[93] დანიშნული სასჯელებიც პირობითად ჩაუთვალა. გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება იყო ბრალის აღიარება, გამოძიებასთან თანამშრომლობა, ასევე ის, რომ დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს და აღარ ჰქონდა მასთან პრეტენზიები. გორის რაიონული სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულს არ ჰქონდა დამამძიმებელი გარემოებები.

სასჯელის ლმობიერების გამო, ბრალდების მხარემ გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ ოჯახის წევრის თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის დანიშნული პირობითი მსჯავრის ვადა გაზარდა 6 თვით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც გორის რაიონულმა სასამართლომ, არც თბილისის სააპელაციო სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებად არ მიიჩნიეს დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში. საქმის მასალები, არაერთი მოწმის ჩვენება, უტყუარად მიუთითებდა იმაზე, რომ ალკოჰოლური სასმელის მიღების შემთხვევაში ბრალდებული ცოლის მიმართ აგრესიული ხდებოდა, მას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა და მოკვლით ემუქრებოდა. ცოლის მიმართ მისი ძალადობრივი ქმედებების უმთავრესი მიზეზი ბრალდებულის ალკოჰოლზე დამოკიდებულება იყო. მართალია, სააპელაციო სასამართლო პირობითი მსჯავრის გამოყენებას სასჯელის მიზნების - დანაშაულის პრევენციის, სამართლიანობის აღდგენის და დამნაშავის რესოციალიზაციით ამართლებს, თუმცა ამ შემთხვევაში პირობითი მსჯავრის გამოყენება სწორედ ამ მიზნების მიღწევას აყენებდა ეჭვქვეშ.

ბრალდებული 2020 წლის 11 იანვარს დააკავეს, გორის რაიონულმა სასამართლომ კი, მსჯავრდებული 2020 წლის 28 მაისს გაათავისუფლა. არცერთი ინსტანციის სასამართლო არ დაინტერესებულა იმით, ამ დროის განმავლობაში, რამდენად დააღწია თავი ბრალდებულმა ალკოჰოლზე დამოკიდებულებას. თუმცა ორივე სასამართლოსათვის გადამწყვეტი გახდა ის გარემოება, რომ ცოლმა მოძალადე ქმარს აპატია და მისი გათავისუფლების მოთხოვნას

91 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/155-20.

92 სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლი.

93 სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი.

მხარი დაუჭირა. ეს იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არსებობდა მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც გორის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2018 წლის 28 მაისს ფიზიკური ძალადობის გამო, დაზარალებულმა ქმრის დასაშინებლად პოლიცია გამოიძახა და იმავე დროს, ფიზიკური ძალადობის ფაქტი დამალა. ამის მიუხედავად, პოლიციის ჩარევას არც ბრალდებულის ალკოჰოლზე დამოკიდებულება აღმოუფხვრია და არც მისი ძალადობრივი ქცევა შეუცვლია. სამართალდამცავებით გაფრთხილებამ ამ შემთხვევაში შედეგი ვერ გამოიღო. ოთხთვიანი პაუზის შემდეგ, ორმა სასამართლომ მსხვერპლთან სახლში დააბრუნა სისტემატური მოძალადე იმის შეუფასებლად, რამდენად აღმოიფხვრა მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდა ოჯახში ძალადობას. თუკი სასამართლო ინსტანციებმა პირობითი მსჯავრით გაათავისუფლეს ბრალდებული, რომელიც კვლავაც ალკოჰოლდამოკიდებულია და სასმელის მოხმარების შემთხვევაში მოძალადე ხდება, ამით სასამართლოებმა, ხელი შეუწყვეს არათუ დანაშაულის პრევენციას, არამედ მისი ხელახალი ჩადენის შესაძლებლობას. ალკოჰოლდამოკიდებულებისაგან გათავისუფლება და ძალადობრივი ქცევის კორექციის ფაქტის უტყუარად დადგენა იქნებოდა იმის დამადასტურებელი, რომ მოხდა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და ის მზადაა საზოგადოებასთან და პირველ რიგში, ოჯახთან უსაფრთხო ინტეგრაციისათვის. ამის მიუხედავად, ორი ინსტანციის მიერ მიღებული განაჩენებიდან არ იკვეთება, რომ სასამართლოები დაინტერესდნენ ალკოჰოლიზმის პრობლემით ან მისი მოგვარების გზებით.

ამიტომ, სააპელაციო სასამართლოს დასკვნების საპირისპიროდ, მიგვაჩნია, რომ ამ საქმეში პირობითი მსჯავრის გამოყენება, იმ პირობებში, როდესაც არ არის დადასტურებული ბრალდებულის რესოციალიზაციის ფაქტი, არათუ პასუხობს სასჯელის მიზნებს, არამედ ეწინააღმდეგება კიდეც მას და მსხვერპლის სიცოცხლეს ახალი რისკების წინაშე აყენებს.

რაც შეეხება იმას, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბრალდებულის გათავისუფლებას ითხოვს, გასათვალისწინებელია, რომ ეს მოთხოვნა შესაძლოა განპირობებული იყოს პატრიარქალური საზოგადოების რეაქციით, რომელიც ქალს კიცხავს ძალადობის ჩამდენი ქმრის ან მოძალადის მხილებისათვის. ამიტომ, დაზარალებულის მიერ მოძალადის პატიება ყოველთვის თავისუფალ და ინფორმირებულ არჩევანად არ შეიძლება მივიჩნიოთ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ემსახურება საჯარო და არა კერძო ინტერესების დაცვას. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის საქმეებში სასჯელის შერჩევისას მოსამართლისათვის გადამწყვეტი უნდა იყოს არა ის, შეურიგდა თუ არა დაზარალებული ბრალდებულს, არამედ ის, რამდენად მიაღწევს პირობითი მსჯავრი სასჯელის მიზნებს. სასამართლომ პირობითი მსჯავრი მაშინ უნდა გამოიყენოს, როდესაც აღმოფხვრილია ის მიზეზები ან პირობები, რომლებიც ოჯახში ძალადობის ხელშემწყობი იყო. სხვაგვარად დაზარალებულის პოზიცია ყოველთვის არ უნდა იყოს გადამწყვეტი ოჯახში დანაშაულის ჩამდენი პირის იზოლაციის დასასრულებლად.

საერთო სასამართლოები ხშირად ციტირებენ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 55-ე მუხლს, რომელიც საქართველოს ავალდებულებს, ამ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის დანაშაულებზე უზრუნველყოფილი იყოს ex officio სასამართლო პროცესები, რომლებიც არ უნდა იყოს „მთლიანად დამოკიდებული“ მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებასა და საჩივარზე.[94] ეს ვალდებულება განიმარტება როგორც სასამართლო ხელისუფლების ვალდებულება დააკისროს მოძალადეს ადეკვატური სასჯელი, იმის მიუხედავად, ითხოვს თუ არა ამას მისი ოჯახის წევრი, რომელზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა ოჯახში ძალადობამ.

94 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/665-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4548-20.

ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით, პირობითი მსჯავრის გამოყენება იმ მსჯავრდებულისათვის, რომელმაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა, აღიარებს ჩადენილ დანაშაულს და თანამშრომლობს გამოძიებასთან, არ არის წარსულში ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, სასამართლოს დისკრეციაა და არა ვალდებულება. ამაზე მეტყველებს ამ ნორმაში ჩაწერილი სიტყვები - „სასამართლო უფლებამოსილია". სასამართლო ამ დისკრეციულ უფლებამოსილებას უნდა იყენებდეს სასჯელის მიზნების რეალიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე და არა მის საწინააღმდეგოდ.

5.2 გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობის დასაბუთება სასამართლოს განაჩენში

საანგარიშო პერიოდში გენდერული ნიშნით მკვლელობის მუხლზე მსჯელობა, 6 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, მხოლოდ გორის რაიონულ და თბილისის საქალაქო სასამართლოებს მოუწიათ. პირველი ინსტანციის ამ სასამართლოებმა ორ საქმეში გაამართლეს, ხოლო ოთხ საქმეში ბრალდებული დამნაშავედ ცნეს დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენაში. საქმეთა ანალიზით დასტურდება, რომ როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენების ავტორ მოსამართლეებს ერთმანეთისგან განსხვავებულად ესმით გენდერული ნიშნის შინაარსი. მოსამართლეების უმრავლესობა ქალის მიმართ ეჭვიანობას, მესაკუთრულ დამოკიდებულებას და სხვა კაცთან ურთიერთობის აკრძალვას არ მიიჩნევს გენდერული მოტივის დამადასტურებელ გარემოებად.

ამ მხრივ, გამონაკლისია თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელმაც, ერთ საქმეში, ეჭვიანობის მოტივით მკვლელობის მცდელობა გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულად მიიჩნია.[95] პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების უმრავლესობა გენდერულ ნიშანს უფრო ვიწროდ განმარტავს და ამ ნიშნის დასადგენად არკვევს, ხომ არ უკრძალავდა ბრალდებული დაზარალებულს ტელეფონით და სოციალური ქსელით სარგებლობას, დასაქმებას, პირთა გარკვეულ წრესთან ურთიერთობას, აკონტროლებდა თუ არა ბრალდებული დაზარალებულის ჩაცმულობას. ამ კითხვებზე ან რომელიმე მათგანზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, მოსამართლეები ადგენენ გენდერული ნიშნით ჩადენილ მკვლელობას ან მის მცდელობას.

როგორც 6 გაანალიზებული საქმიდან ჩანს, პრობლემას წარმოადგენს განაჩენში გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობის დეფინიციის განსაზღვრა და ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასება ამ დეფინიციის შესაბამისად. მაგალითად, 2020 წლის 4 სექტემბრის განაჩენში, გორის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო ყველა წარდგენილ ბრალდებაში: სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-109 მუხლის მეორე ნაწილის „ბ" (უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობა), „დ[1]" (გენდერის ნიშნით მკვლელობა) და „ე" (ოჯახის წევრის მკვლელობა) ქვეპუნქტებით.[96] პირის ბრალდების შესახებ დადგენილებიდან, რაც გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა, ნათელი იყო, თუ რაში გამოიხატებოდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობა და ოჯახის წევრის მკვლელობა, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით გენდერის ნიშნით ჩადენილ მკვლელობაზე.

95 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4332-20.

96 გორის რაიონული სასამართლოს საქმე 1/181-20.

შესაბამისად, ყველაზე მეტად განაჩენში გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობის სამართლებრივი დასაბუთების აუცილებლობა იდგა. გაურკვეველი რჩება, ქმედება სასამართლომ გენდერის ნიშნით მკვლელობად იმის გამო დააკვალიფიცირა, რომ ცოლის სიცოცხლის მოსპობა მასზე ქმრის მიერ წლების განმავლობაში მიმდინარე ძალადობრივი ქმედებების ჯაჭვის კულმინაცია იყო, თუ ეს ქმედება იყო შურისძიება ცოლის ასაკით უფროს სხვა კაცთან ინტიმური ურთიერთობის გამო. ან ხომ არ მიიჩნია სასამართლომ როგორც ერთი, ისე მეორე გარემოება დანაშაულის შემადგენლობაში გენდერული ნიშნის არსებობის დამადასტურებლად. ამგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანი იყო გორის რაიონულ სასამართლოს განაჩენში თავდაპირველად ჩამოეყალიბებინა გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობის ცნება, შემდგომ, ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, დაესაბუთებინა, რატომ იყო მკვლელობა გენდერის ნიშნით ჩადენილი.

ამის საპირისპიროდ, გენდერის ნიშნით განზრახ მკვლელობის ცნების განსაზღვრისთვის გორის რაიონული სასამართლო ერთ-ერთ განაჩენში იშველიებს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ“ კონვენციას და გენდერის ნიშნით მკვლელობის მცდელობად მიიჩნევს შემთხვევას, როცა ქმარმა დანით ცოლს მრავლობითი ჭრილობა მიაყენა მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა უარი უთხრა ყოფილ ქმარს შერიგებაზე და მისი მხრიდან ძალადობის თაობაზე, პოლიციაში საჩივრის შეტანას აპირებდა. სასამართლო განაჩენში მიუთითებს, რომ დანაშაულებრივი ქმედებები ჩადენილია გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, იმის გამო, რომ დაზარალებული იყო ქალი და უნდა მოქცეულიყო ბრალდებულის, როგორც კაცის, ნების შესაბამისად. ამგვარად, ამ საქმეში გენდერული მოტივით ჩადენილ დანაშაულად მიიჩნიეს სტამბოლის კონვენციისა და CEDAW კონვენციის მითითება ქალის კაცთან შედარებით დაქვემდებარებულ როლთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის, რომ განაჩენი ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომელიც დაეთანხმა გორის რაიონულ სასამართლოს ქმედების გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

2021 წლის 1 ივნისის განაჩენში გენდერის ნიშნის განმარტების საჭიროების წინაშე დადგა თბილისის საქალაქო სასამართლოც, რომელმაც აღნიშნა: „მამა-შვილს შორის უთანხმოება არსებობდა სწორედ იმის გამო, რომ ბრალდებული სქესის ნიშნით, გარკვეულ შეზღუდვებს უწესებდა თავის ქალიშვილს; უკრძალავდა მეგობრებთან ურთიერთობას, სახლიდან გასვლას, აკონტროლებდა მის ქცევას, მისგან მოითხოვდა ისე მოქცევას, როგორც მას სურდა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში გენდერული დისკრიმინაციის მოტივი გამოკვეთილი და დადასტურებულია“.[97] შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გენდერული შეუწყნარებლობის მოტივის ყველაზე გავრცელებული განმარტება.

სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, არის თუ არა ქალის მიმართ ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული. საანგარიშო პერიოდში პირველად გამოჩნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, სადაც ამ მოტივით ჩადენილი მკვლელობის მცდელობა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ[1]“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდა. საქმე ეხებოდა ყოფილი ქმრის მიერ ცოლისათვის მუცლისა და კისრის არეში დანით ჭრილობების მიყენებას იმის გამო, რომ ქალს არ უნდოდა ყოფილი ქმრის თანდასწრებით მობილურ ტელეფონზე ელაპარაკა, ამიტომ სახლიდან გარეთ გავიდა. ყოფილი ცოლის ამგვარმა ქცევამ გამოიწვია ბრალდებულის ეჭვიანობა და მან დაზარალებულს სამზარეულოს დანით სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა.[98]

97 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4548-20.

98 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4332-20.

2021 წლის 17 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მიღებულ განაჩენში განაცხადა: „სასამართლო ასევე დადასტურებულად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულის ქმედებაში გენდერული შეუწყნარებლობის ნიშანი იკვეთება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს დაზარალებულის ჩვენებას, რომ ბრალდებული ყველაფერს უშლიდა და ყველაფერზე **ეჭვიანობდა**, რის გამოც მას სამსახურის მიტოვებაც მოუწია. დასახელებულ მოტივზე მიუთითებს გამომძიებლის ჩვენებაც, რომლის თანახმადაც ბრალდებულმა განაცხადა, რომ დაზარალებული მისი საკუთრება იყო. სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს პროცესის განმავლობაში თავად ბრალდებულის დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ მიმართვებს და დამოკიდებულებას დაზარალებულის მიმართ, რომ დაზარალებული **უწესო ქალია**, ბევრი მამაკაცი ჰყავდა, რითაც მიანიშნებდა, რომ დაზარალებულმა, როგორც უზნეო ქალმა მიიღო ის, რაც მიიღო. სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოებები ერთობლივად, უტყუარად მიუთითებს დაზარალებულის მიმართ გენდერული შეუწყნარებლობის მოტივზე. ბრალდებულის წარმოდგენით, დაზარალებული, როგორც ქალი, ვალდებული იყო ეცხოვრა და მოქცეულიყო ისე, როგორც ბრალდებულს სურდა, **არ ჰქონდა უფლება, სხვა მამაკაცთან ურთიერთობის და სწორედ ის, რომ დაზარალებული არ დაემორჩილა მის ასეთ სურვილს, გახდა კიდეც მკვლელობის მცდელობის მიზეზი...** განსახილველ შემთხვევაში, მკვლელობის მცდელობა სწორედ გენდერის ნიშნით განხორციელდა. ბრალდებული სისტემატურად ეჭვიანობდა დაზარალებულზე, უშლიდა ყველასთან ურთიერთობას, იძულებული გახდა სამსახური მიეტოვებინა, მოკვლით ემუქრებოდა დაშორების შემთხვევაში, რამაც განაპირობა კიდეც საბოლოოდ ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის მკვლელობის მცდელობა“.[99]

ცხადია ასეთი განმარტება წინგადადგმული ნაბიჯია ფემიციდის ყველაზე გავრცელებული ფორმის მიმართ სამართლებრივი რეაგირების თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, არსებობს სხვაგვარი პრაქტიკაც, როცა ეჭვიანობის მოტივით ჩადენილი მკვლელობა არ მიიჩნიეს გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულად. ამის მაგალითია, გორის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმე, როცა საძინებელ ოთახში ქრონიკული ალკოჰოლიზმით გამოწვეული ქცევითი აშლილობის დროს ქმარმა ცოლი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა.[100]

გორის რაიონულმა სასამართლომ 2020 წლის 29 მარტის განაჩენში მკვლელობის მიზეზთან დაკავშირებით აღნიშნა: „რაც შეეხება გენდერის ნიშნით მკვლელობას, ყველა მოწმის, მათ შორის გარდაცვლილის შვილების ჩვენებების შესაბამისად, მეუღლეებს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, არც კი კამათობდნენ, „ათასში ერთხელ შეიძლება ეკამათათო“ - ამბობს გარდაცვლილის შვილი. გაუგებარია, რომელი მტკიცებულებიდან გამომდინარეობს გენდერის ნიშანით მკვლელობის მოტივი, გარდაცვლილის რომელ სურვილს ან მისწრაფებას ეწინააღმდეგებოდა ბრალდებული, რას უკრძალავდა ან მოითხოვდა მეუღლისაგან, მით უფრო, რომ არაერთი კვირის განმავლობაში ცოლ-შვილს უმეთვალყურეოდ ტოვებდა თბილისში და თავად სურამში ჩადიოდა. ზემოთ აღვნიშნეთ, მოწმეთა გამოძიების ეტაპზე გაკეთებული განმარტებები. ერთ-ერთ შემთხვევაში გარდაცვლილის დამ სასამართლოშიც აღნიშნა, რომ „დაზარალებული რაღაც პერიოდი შარვალს არ იცვამდა, როგორც მერე გაიგო, ქმარს უწევდა ანგარიშს, რადგან ბრალდებულს კაბები მოსწონდა. დაშლით არ უშლიდა, მაგრამ დაზარალებული უწევდა ბრალდებულს ანგარიშს. დაზარალებულის და არასოდეს შესწრებია ფაქტს, რომ გარდაცვლილს მეუღლე მუშაობას უკრძალავდა. შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელი აღნიშნავს, რომ მკვლელობის მოტივად ბრალდებული ასახელებდა ეჭვიანობას (ცხადია, ეჭვიანობის ნიადაგზე მკვლელობა არ ნიშნავს, რომ მეუღლემ ნამდვილად უღალატა).

99 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4332-20.

100 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/490-20.

ამასვე აღნიშნავს ბრალდებული ფარულ ჩანაწერში და ამ ყველაფრის ფონზე მკვლელობის, ძირითად, დომინანტ მოტივად სახელდება მსხვერპლის გენდერული კუთვნილება (?!)“ [101]

ამ განაჩენით მოსამართლემ დაადგინა ის გარემოება, რომ მკვლელობის მოტივი იყო ეჭვიანობა, ვინაიდან თეთრი ცხელების მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ცოლისათვის სროლის შემდეგ, სწორედ ის უთხრა პოლიციელს, რომ ცოლი ღალატობდა. ცოლის მხრიდან ღალატი ბრალდებულის წარმოსახვის ნაყოფი იყო. ამის მიუხედავად, მოსამართლემ მიიჩნია, რომ მკვლელობის დომინანტი მოტივი ეჭვიანობა იყო, რის გამოც მოსამართლე სვამს კითხვას, რა კავშირი აქვს ეჭვიანობას გენდერულ მოტივთან. სწორედ იმის გამო, რომ ამ კითხვაზე ბრალდების მხარისაგან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, გორის რაიონულმა სასამართლომ ამორიცხა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

მკვლელობის ეჭვიანობის მოტივით ჩადენა გენდერული შეუწყნარებლობის ნიშანზე მიუთითებს. ეჭვიანობის, თუნდაც უსაფუძვლო ეჭვიანობის, გამო ჩადენილი მკვლელობა, არის ფემიციდის კლასიკური მაგალითი, ვინაიდან მოტივირებულია ქალის მიმართ ქმრის მესაკუთრული დამოკიდებულებით. ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულება კი ფემიციდის, შესაბამისად, გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობის ერთ-ერთი ინდიკატორია.[102] გორის რაიონული სასამართლო გვთავაზობს გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობის ვიწრო განმარტებას, რომლის მიხედვითაც, გენდერის ნიშნით მკვლელობად მიიჩნევა ქალის მკვლელობა ქმრის სურვილის - არ ისარგებლოს მობილური ტელეფონით, ატაროს ის ტანსაცმელი, რასაც ქმარი მიიჩნევს საჭიროდ, არ გავიდეს სახლიდან, ურთიერთობა არ იქონიოს პირთა გარკვეულ წრესთან - დაუმორჩილებლობის შემთხვევაში. ცხადია, ზემოხსენებულ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა მოტივირებულია გენდერული შეუწყნარებლობით, თუმცა გენდერის ნიშნის ამგვარი ვიწრო განმარტება და ქალზე მესაკუთრული დამოკიდებულებიდან მომდინარე ეჭვიანობის მოტივით მკვლელობის გამორიცხვა, არ ემსახურება აკრძალვის მიზანს, ისევე როგორც ფემიციდის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის ამოცანებს. გენდერის ნიშნით მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებაა არა მარტო იმის გამო, რომ აღმოიფხვრას ოჯახში კაცის დომინანტური და ქალის მასზე დაქვემდებარებული როლი, არამედ იმის გამოც, რომ მოისპოს სტერეოტიპი, რომ ქალი კაცის საკუთრებაა და არ აქვს მასთან ურთიერთობის შეწყვეტის თავისუფლება. ეჭვიანობის მოტივის გენდერული ნიშნისაგან გამიჯვნით ამგვარი სტერეოტიპის აღმოფხვრის მიზანი ვერ მიიღწევა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს კიდევ ერთ საქმეში,[103] რომელიც კაცის მიერ, ეჭვიანობის გამო, ყოფილი პარტნიორი ქალის ცეცხლით დაწვას ეხებოდა, მოსამართლემ გაათავისუფლა ბრალდებული გენდერული ნიშნით განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებისაგან. ამ საქმეში პრობლემას წარმოადგენს არა მარტო ის, რომ ეჭვიანობის მოტივით მკვლელობის მცდელობა სასამართლომ არ დააკვალიფიცირა გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულად, არამედ იმ მტკიცებულებების იგნორირებაც, რაც გენდერული შეუწყნარებლობის მოტივზე მიუთითებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „დაზარალებულს და მის ორ მეგობარს გამოკითხვის დროს არცერთ ეტაპზე არ დაუსახელებიათ ის გარემოება, რომ ბრალდებული გენდერის ნიშნით რაიმე სახის დისკრიმინაციას ახორციელებდა დაზარალებულის მიმართ, თავად დაზარალებულმა აღნიშნული გარემოებები დაასახელა მხოლოდ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას, რომელიც სასამართლოსათვის არასარწმუნოა და მხოლოდ იმის თქმა, რომ ბრალდებული მას გენდერის ნიშნით ჩაგრავდა, არასარწმუნოა, აღნიშნულ ფაქტს

101 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/490-20.

102 ლათინო-ამერიკული სამოდელო ოქმი.

103 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4487-20.

სჭირდება განსაკუთრებული მტკიცება და ფაქტებისა და გარემოებების თანხვედრა“.[104]

პირველ რიგში, არასწორია მსჯელობა, რომ დაზარალებულმა და მისმა ორმა მეგობარმა მხოლოდ სასამართლოზე ისაუბრეს ბრალდებულის მხრიდან გენდერულ დისკრიმინაციაზე და მათ გამოძიებისთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამთ. 2020 წლის 2 ივლისს დაზარალებულმა გამოკითხვისას განაცხადა: „ბრალდებულს ეგონა, რომ ვიყავი ჩემს დაქალთან, როგორც გითხარით ჩემს დაქალს ვერ იტანს, იძახის, რომ მისი თქმით, მსუბუქი ყოფაქცევისაა და მასთან ურთიერთობაში მეც ასეთი გავხდები, სწორედ ამით დავიწყეთ კონფლიქტი. **ის (ბრალდებული) ყოველთვის ფიქრობდა, რომ იყო მამაკაცი და მან უკეთ იცოდა, ვისთან უნდა მქონოდა ურთიერთობა და ღიზიანდებოდა უპირობოდ არ ვემორჩილებოდი“.**[105] 2020 წლის 28 ივლისს გამოძიებამ დაზარალებულის ერთ-ერთი მეგობარი გამოკითხა. მან გენდერულ მოტივთან დაკავშირებით გამოძიებას განუცხადა: „დაზარალებული ცხოვრობდა დაქალთან, რადგან ეშინოდა მარტო დარჩენის, ეშინოდა, რომ ბრალდებული მიუვარდებოდა სახლში და სცემდა **როგორც მამაკაცი და როგორც მასზე სრულუფლებიანი პირი, როგორც, ასე ვთქვათ, მისი ბატონი, თითქოს უფლება ჰქონდა. რომ ეცემა, შეურაცხყოფა მიეყენებინა, დაზარალებულს ხმა არ უნდა ამოეღო“.**[106] ამავე გამოკითხვაში მოწმე იხსენებს ერთ ეპიზოდს, დანაშაულის ჩადენამდე, ორი დღით ადრე, როგორ აკონტროლებდა ბრალდებული იმას, თუ სად იმყოფებოდა დაზარალებული. მოწმის თქმით, 2020 წლის 28 ივლისს დაზარალებული ამ მოწმესთან დარჩა სახლში. იმ საღამოს ბრალდებული დაზარალებულს სწერდა, რომ მისთვის ფოტოები გაეგზავნა, რათა გაეგო, თუ სად იყო. დაზარალებულმა ვერ შეძლო ფოტოების გაგზავნა, ვინაიდან მასპინძლის სახლში შუქი იყო გათიშული. თავის გამოკითხვაში დაზარალებულიც იხსენებს ამ შემთხვევას და ამბობს, რომ ფოტოთი ბრალდებულს უნდოდა იმაში დარწმუნებულიყო, რომ არ იმყოფებოდა იმ დაქალის სახლში, რომელსაც „სუსტი ყოფაქცევის ქალად“ მიიჩნევდა.[107]

2020 წლის 3 ივლისს, გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაზე გენდერულ მოტივზე მიუთითებს მეორე მოწმეც, რომელსაც ბრალდებული „სუსტი ყოფაქცევის“ ქალს უწოდებდა. მოწმე აცხადებს: „ჩემთან ცხოვრების დროსაც ურეკავდა ხოლმე. თავდაპირველად ბრალდებული დაზარალებულს ემუქრებოდა, რომ აქ ჩამოვიდოდა, დაწვავდა და მოკლავდა, არ აცოცხლებდა, როგორ გაუბედა, რომ მისი სახლიდან წამოვიდა, **ის (ბრალდებული) იყო კაცი და მათ ოჯახში უნდა ეუფროსა**. რა უნდოდა, ჩემთან რატომ ცხოვრობდა, ეუბნებოდა, რომ ჩემთან არაფერი ესაქმებოდა დაზარალებულს, რადგან ვცხოვრობდი იმ უბანში, სადაც, ბრალდებულის თქმით, „მსუბუქი ყოფაქცევის ქალები“ ცხოვრობდნენ“. [108]

ამგვარად, სიმართლეს არ შეესაბამება მოსამართლის დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულმა და მისმა მეგობრებმა გამოძიების მიმდინარეობისას არაფერი თქვეს გენდერულ დისკრიმინაციაზე. ეს მაშინ, როდესაც სწორედ მათი გამოკითხვის ოქმებში მოიპოვება ბრალდებულის გენდერული დისკრიმინაციის შემცველი გამონათქვამები. დაზარალებულიც და მისი ორი მეგობარიც, გამოძიებაში მიუთითებენ, რომ ბრალდებული დაზარალებულს აკონტროლებდა, სად იმყოფებოდა. ამავე დროს, როგორც დაზარალებულის, ისე მისი ორი მეგობრის ერთმანეთთან თანხვედრი ჩვენებით ირკვევა, რომ ბრალდებულს არ მოსწონდა მისი პარტნიორი ქალის ურთიერთობა დაქალთან, ვინაიდან დაქალი „მსუბუქი ყოფაქცევის ქალებით დასახლებულ უბანში“ ცხოვრობდა . კაცის მიერ მისი პარტნიორი ქალისათვის მეგობრებთან ურთიერთობის აკრძალვა და ადგილსამყოფელის კონტროლი გენდერის ნიშნით დისკრიმინაციად მიიჩნევა. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ

104 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4487-20.

105 სისხლის სამართლის საქმე №002300620001 ტომი 1, გვერდი 158.

106 სისხლის სამართლის საქმე №002300620001 ტომი 1, გვერდი 237.

107 სისხლის სამართლის საქმე №002300620001 ტომი 1, გვერდი 106.

108 სისხლის სამართლის საქმე №002300620001 ტომი 1, გვერდი 191.

მოსამართლე დაზარალებულისა და მისი ორი მეგობრის გამოკითხვის ოქმებს არ გაცნობია, ვინაიდან, მკვლელობის მცდელობის ერთ-ერთი მოტივი მსხვერპლის დაქალთან ურთიერთობა იყო. მოწმეები გამოკითხვისას არ იყენებენ სიტყვებს - „გენდერულ დისკრიმინაციას," თუმცა მიუთითებენ გარემოებაზე, რომელიც სასამართლოს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციად უნდა შეეფასებინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ იმავე განაჩენით დაზარალებულის ორი მეგობარი სანდო მოწმედ გამოაცხადა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის მცდელობის ეპიზოდთან დაკავშირებით. იმის დასადასტურებლად, რომ ბრალდებულს დაზარალებულის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის განზრახვა ჰქონდა, მოსამართლე ციტირებს დაზარალებულის ერთ-ერთი იმ მეგობრის ჩვენებას, რომელსაც გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობის მცდელობის ნაწილში არასანდოდ აცხადებს.

გენდერული ნიშნით მკვლელობის მცდელობის ნაწილში დაზარალებულის და მისი ორი მეგობრის ჩვენება რომც მიიჩნეოდეს მიკერძოებულად და არასანდოდ, ის ფაქტი, რომ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კონფლიქტი დაზარალებულის დაქალის გამო წარმოიშვა, თავად ბრალდებულის გამოკითხვის ოქმითაც დასტურდება. ბრალდებული გამოიკითხა 2020 წლის 30 ივნისს, დაკავებისთანავე, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ შერაცხადი იყო. ბრალდებულის გამოკითხვის ოქმში ვკითხულობთ, რომ ბრალდებულს არ მოსწონდა მისი პარტნიორის და ერთ-ერთი დაქალის ურთიერთობა, ვინაიდან დაქალი მის მეგობარ ქალს ბრალდებულის წინააღმდეგ განაწყობდა. ამასთანავე, მისი პარტნიორი ქალი დაქალს ტელეფონით ელაპარაკებოდა, როცა საწოლში იწვნენ და ეს ბრალდებულისათვის უსიამოვნო იყო.

ამგვარად, სრულიად უსაფუძვლო და სინამდვილესთან შეუსაბამოა სასამართლოს მტკიცება, რომ დაზარალებულს და ორ მოწმეს გამოძიების დროს გენდერულ დისკრიმინაციაზე არ მიუთითებიათ. დაზარალებულიც და მოწმეებიც, არა მარტო გენდერულ მოტივზე, არამედ იმ ფაქტობრივ გარემოებებზეც მიუთითებენ, რაშიც ამგვარი დისკრიმინაცია გამოიხატებოდა. ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლო არათანმიმდევრულია ერთი მხრივ მაშინ, როცა დადასტურებულად მიიჩნევს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის მცდელობის ჩადენას და ამ ქმედების მოტივად ეჭვიანობის ნიადაგზე შურისძიებას ასახელებს, ამავე დროს, გამორიცხავს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ[1]" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გენდერული ნიშნით მკვლელობის მცდელობის შემადგენლობას. ეს მაშინ, როდესაც ეჭვიანობა ქალის მიმართ კაცის მესაკუთრულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა გენდერული ნიშანი.

მისასალმებელი ნაბიჯია, რომ თუნდაც მხოლოდ თბილისის საქალაქო და გორის რაიონულმა სასამართლოებმა დაიწყეს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ[1]" აქტიური გამოყენება. ამის მიუხედავად, როგორც საქმეების ანალიზმა აჩვენა, ამ სასამართლოებშიც კი, მოსამართლეებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, ფარავს თუ არა გენდერული ნიშანი ქალის მიმართ ეჭვიანობის გამო ჩადენილ მკვლელობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია უზენაესმა სასამართლომ აღმოფხვრას პირველი ინსტანციის სასამართლოებში ამ კუთხით არსებული არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

5.3 არარეგისტრირებული ქორწინების ცნება

გენდერის ცნება არ არის ერთადერთი, რაზეც სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა აქვს. კიდევ ერთი პრობლემური საკითხი, რაც ფემიციდის საქმეების ანალიზმა ცხადყო, იმ ფაქტის დადასტურებას ეხება, იმყოფებიან თუ არა ბრალდებული და დაზარალებული არარეგისტრირებულ ქორწინებაში, მკვლელობამდე ან მკვლელობის მცდელობამდე. მნიშვნელოვანია, ერთგვაროვანი პრაქტიკის დასამკვიდრებლად, უზენაესმა სასამართლომ არარეგისტრირებული ქორწინების ცნების ამომწურავი განმარტება შეიმუშაოს.

სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა ამ ქმედების ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ. სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად, ოჯახის წევრად მიიჩნევიან მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ასევე წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი. ცხადია, თუ მსხვერპლს ჰქონდა ბრალდებულთან ქორწინების მოწმობა, დანაშაულის სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება მარტივია, ისევე როგორც ამ ნორმით ქმედების კვალიფიკაციას ხელს არაფერი უშლის, როცა არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება[109] ან სერვისების განვითარების სააგენტოს ცნობა[110] ბრალდებულისა და დაზარალებულის განქორწინების თაობაზე. პრობლემა მაშინ ჩნდება, როცა ბრალდებულის და დაზარალებულის ქორწინება ოფიციალურად არ იყო რეგისტრირებული.

ოჯახის წევრის მკვლელობისათვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა 13-დან 17 წლამდე, ხოლო თუკი მსხვერპლი არ არის ოჯახის წევრი და არც სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა დამამძიმებელი გარემოებებია სახეზე, ქმედება კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 7-დან 15 წლამდე. შესაბამისად, სასჯელის შემსუბუქებისათვის დაცვის მხარის სტრატეგია ბრალდებულისა და დაზარალებულის არარეგისტრირებულ ქორწინებაში არყოფნის მტკიცებაა.[111] თბილისის საქალაქო სასამართლოს ორ სხვადასხვა საქმეში დაცვის მხარის ამ არგუმენტზე სხვადასხვა პასუხი ჰქონდა, ერთ შემთხვევაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობაში,[112] ხოლო მეორე საქმეში გაამართლა.[113]

თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთი განაჩენი ეხება ბრალდებულის მიერ ყოფილი პარტნიორის ცეცხლით დაწვას. ამ საქმეში დაზარალებული ამტკიცებდა, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ბრალდებულთან და დაქირავებულ ბინაში მასთან ერთად ცხოვრობდა. ბინის ქირას და კომუნალურ გადასახადებს ბრალდებული იხდიდა, ხოლო დაზარალებული მას საჭმელს უმზადებდა. პანდემიის დაწყების შემდეგ, ეს წყვილი ბრალდებულის სახლში გადავიდა საცხოვრებლად, საიდანაც ძალადობის გამო დაზარალებული ორ კვირაში წამოვიდა. დაცვის მხარე ამტკიცებდა, რომ ბრალდებულს და დაზარალებულს ერთმანეთთან ინტიმური ურთიერთობები აკავშირებდა, ცოლ-ქმრული მოვალეობები კი, მათ შორის გადანაწილებული არ ყოფილა. დაცვის მხარემ სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოიძახა რამდენიმე პირი, რომლებიც უარყოფდნენ ბრალდებულისა და დაზარალებულის არარეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტს და აცხადებდნენ, რომ დაზარალებულს და

109 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/181-20.

110 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1903-20.

111 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4487-20 და საქმე №1/4332-20.

112 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4332-20.

113 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4487-20.

ბრალდებულს მხოლოდ ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ.[114]

ამ საქმეში სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, ბრალდებულს ამოურიცხა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალი და განაცხადა: ბრალდების მხარემ ვერ დაამტკიცა, რომ ბრალდებული და დაზარალებული არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. სასამართლოს თქმით, ბრალდებული და დაზარალებული ორ-ორი კვირის განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთად ორ სხვადასხვა ადგილას. ორკვირიანი პერიოდი კი ძალიან ხანმოკლე დრო იყო იმისათვის, რათა წყვილი საერთო მეურნეობას გასძღოლოდა. სასამართლომ დაკითხა დაზარალებულის მეზობლად მცხოვრები პირი, რომელმაც ვერ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ბრალდებული და დაზარალებული არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. სასამართლომ ასევე საეჭვოდ მიიჩნია არარეგისტრირებული ქორწინების არსებობა იმ პირობებში, როცა ბრალდებული ასევე ხვდებოდა სხვა ქალს, რომელიც დაცვის მოწმედ გამოიძახეს პროცესზე. სასამართლომ დაკითხა ბრალდებულის რძალი, რომელმაც განაცხადა, რომ დაზარალებულს თანაცხოვრების პერიოდში სტუმრად მიიჩნევდა და არა ოჯახის წევრად.

განაჩენით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა დროს - ორ კვირას, რაც მოსამართლის აზრით, არც იმდენად დიდი დროა, რომ წყვილებმა ერთობლივი მეურნეობა აწარმოონ ან ამ ვადაში მეზობლებმა შეამჩნიონ მათი თანაცხოვრება. შესაბამისად, ამ ვადაში, სასამართლოს მტკიცებით, შეუძლებელია არარეგისტრირებული ქორწინების არსებობა.

წინა საქმისაგან განსხვავებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ მეორე საქმეში,115 დაზარალებული ბრალდებულთან 12 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მათი ურთიერთობის შესახებ ცნობილი იყო მეზობლებისათვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 22 სექტემბრის განაჩენით, ბრალდებული დამნაშავედ ცნეს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ცოლისა და გერის მიმართ მუქარისათვის. ამ საქმეში ბრალდებულმა აღიარა, რომ დაზარალებულთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა, ვინაიდან ამ ქმედებისათვის მკაცრი სანქცია არ ელოდა. პირობითი მსჯავრით გათავისუფლების შემდეგ, 2020 წლის 5 ოქტომბერს, ბრალდებულმა ამჯერად მუცლისა და კისრის არეში დანით დაზიანება მიაყენა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ყოფილ ცოლს. ამ ფაქტზე პროკურატურამ პირს ბრალი წაუყენა სსკ-ის 19-109-2ვ მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა).

ბრალდებულმა საქმის სასამართლო განხილვისას უარყო დაზარალებულთან არარეგისტრირებული ქორწინების არსებობის ფაქტი და განაცხადა, რომ სარგებლობდა მისი, როგორც სექს-მუშაკის მომსახურებით, რაშიც სანაცვლოდ ფულს იხდიდა. ბრალდებულის განმარტებით, დაზარალებულს, მის გარდა, სხვა კაცებთანაც ჰქონდა ურთიერთობა.[116]

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტი, რომ დაზარალებული არ იყო არარეგისტრირებულ ქორწინებაში ბრალდებულთან და შესაბამისად, მკვლელობის მცდელობას ოჯახის წევრის მიმართ ადგილი არ ჰქონია. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 17 მაისის განაჩენში აღნიშნულია: სასამართლო დაეყრდნო მეზობლის ჩვენებას, რომლებიც ბრალდებულს და დაზარალებულს ცოლ-ქმრად აღიქვამდა. არარეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტი დაადასტურა დაცვის მიერ დასაკითხად გამოძახებულმა ბრალდებულის ნათესავმა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე პრეიუდიციული მნიშვნელობა მიანიჭა ადრე დამდგარ გამამტყუნებელ განაჩენს, სადაც ბრალდებული დაზარალებულის ქმრად იყო

114 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4487-20.

115 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4332-20.

116 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4332-20.

მოხსენიებული და ამ განაჩენის თანახმად, ბრალდებული აღიარებდა ცოლის და გერის მიმართ ჩადენილ ოჯახურ დანაშაულს.

ორივე საქმეში, არარეგისტრირებული ქორწინების არსებობა-არარსებობის საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორმა გარემოებამ: 1) თანაცხოვრების დრომ და 2) მეზობლების მიერ წყვილების ცოლ-ქმრად აღქმამ. ერთ შემთხვევაში თანაცხოვრების პერიოდი იმდენად მოკლე იყო, რომ ამ ვადაში წყვილებმა ვერც საერთო მეურნეობის წარმოება მოასწრეს, ვერც მეზობლებისათვის ერთ ოჯახად თავის წარდგენა, მეორე შემთხვევაში, 10 წელი საკმარისად ჩაითვალა იმისათვის, რომ წყვილებს მეზობლებისათვის თავი ცოლ-ქმრად გაეცნოთ და საერთო მეურნეობის წარმოებაზე სასამართლოს კითხვები არ გასჩენოდა.

5.4 სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის გამოყენება

მონიტორინგის პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლით სასამართლოს მიერ მსხვერპლის გენდერის და სექსუალური ორიენტაციის მიმართ შეუწყნარებლობის გამო სასჯელის დამძიმება, როდესაც ეს ნიშანი არ იყო ქმედების მაკვალიფიცირებელი. საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია გორის რაიონული სასამართლოს ორი საქმე, სადაც გენდერი გამოყენებულია დამამძიმებელ გარემოებად. გორის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, ბრალდებულმა ცულით მოკლა ყოფილი ცოლი.[117] ამ საქმეში სასამართლომ გენდერი არა მარტო დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია, არამედ სასჯელის განსაზღვრისას, სიტყვა „ფემიციდი" გამოიყენა. გორის რაიონული სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია: **„ფემიციდის შედეგად** დაირღვა არა მხოლოდ დაზარალებულის სიცოცხლის უფლება, არამედ ბრალდებულისა და დაზარალებულის საერთო შვილის, როგორც არასრულწლოვანის სოციალურად ჯანმრთელ, ნორმალურ გარემოში, თავისუფალ და ღირსეულ პირობებში ფიზიკური, გონებრივი, მორალური და სულიერი განვითარების ფუნდამენტური უფლება".

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე იყო ფემიციდი, რომლითაც, იმავე დროს, არასრულწლოვანს მიადგა მძიმე ფსიქოლოგიური ზიანი, სასამართლომ სასჯელის სახედ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა. ამ ქმედებისათვის სასჯელის მინიმალური ზომაა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით, ხოლო მაქსიმალური ზომა - 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბრალის აღიარების გამო, სასამართლო ვერ გამოიყენებდა სასჯელის მაქსიმალურ ზომას, იმავე დროს, ფემიციდისა და არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური ტრავმის გამო, სასამართლომ არც სასჯელის მინიმალური ზომა შეარჩია და საშუალო სიმკაცრის სასჯელის ზომა - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა, რაც ადრე მიღებული განაჩენით დადგენილ სასჯელთან შეიკრიბა და საბოლოოდ ბრალდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით.[118]

გორის რაიონულმა სასამართლომ, 2020 წლის 16 ნოემბერს, ბრალდებული დამნაშავედ ცნო ყოფილი ცოლის მკვლელობის მცდელობისათვის. მკვლელობის მოტივი ბრალდებულთან შერიგებაზე დაზარალებულის უარი გახდა. ბრალდებული დამნაშავედ ცნეს, ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობისათვის[119] და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით. გორის რაიონულმა სასამართლომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია

117 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/181-20.

118 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/181-20.

119 დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]- 19-109-2-დ[1]-ვ მუხლით.

ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და მონანიება, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად - გენდერის ნიშნით დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ.[120]

დაცვის მხარემ განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა. მისი მტკიცებით, გორის რაიონულმა სასამართლომ არასწორად დაამძიმა სასჯელი ოჯახის წევრის მიმართ გენდერის ნიშნით დანაშაულის ჩადენის მოტივზე მითითებით. გენდერის ნიშნით ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენა ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება იყო და მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება, ეს გარემოება ქმედების დასამძიმებლად გამოეყენებინა.

2021 წლის 17 ივნისის განაჩენით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი სასჯელის შემსუბუქების ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის მე-3 ნაწილზე, სადაც აღნიშნულია, რომ თუ დანაშაული ჩადენილია გენდერის ნიშნით ან ოჯახის წევრის მიმართ, თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, ერთი წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. თუმცა 53[1] მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულია, რომ თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილით გენდერის ნიშანი ანდა დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ გათვალისწინებულია, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესი, ანუ ასეთ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება იყოს ერთი წლით მეტი ამ დანაშაულისათვის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ზომაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა დაცვის მხარეს და სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის მე-4 პუნქტზე მითითებით, მიიჩნია, რომ ბრალდებულს სასჯელი არ უნდა გამკაცრებოდა იმის გამო, რომ დანაშაული გენდერის ნიშნით ოჯახის წევრის მიმართ ჩაიდინა. ამის გამო სააპელაციო სასამართლომ სასჯელის ხანგრძლივობა შეამცირა 15 წლიდან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

2020 წლის 26 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, პირი დამნაშავედ ცნო ეჭვიანობის ნიადაგზე ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობისათვის და, მართალია, განაჩენში სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლით გათვალისწინებულ გენდერულ ნიშანზე არ მიუთითებია, თუმცა სასჯელი სწორედ ამ ნიშნით დაამძიმა - იმის გამო, რომ მსხვერპლი ქალი იყო. საბოლოოდ, სასამართლომ ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობისათვის ბრალდებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.[121]

სასამართლოები ყველაზე ხშირად დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად ოჯახის წევრის მიმართ მის ჩადენას მიიჩნევენ. ამ ნიშნით სასჯელის დამძიმების შემთხვევა აშკარად აღემატება გენდერის ნიშნის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევის შემთხვევას. საანგარიშო პერიოდში[122] საკმაოდ გავრცელებულია დანის გამოყენებით ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის ჩადენა. საანგარიშო პერიოდში გვხვდება შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ბრალდებულს სასჯელი ცივი იარაღის გამოყენებისათვის დაუმძიმა.[123] სისხლის სა-

120 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/249-20.

121 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1903-20.

122 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-671-20; გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/181-20; გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/249-20, თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №2251-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1903-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4332-20, ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-850/20.

123 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-671-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/4548-20.

მართლის კოდექსის 53[1] მუხლის მე-2 ნაწილით, იარაღის გამოყენებით დანაშაულის ჩადენა ისევე არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, როგორც ამავე ნაწილით, ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენა.

2021 წლის 18 იანვრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი განსაკუთრებით პრობლემურია იმ თვალსაზრისით, რომ გამოკვეთილი იყო დანაშაულის ჩადენა გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. ამის მიუხედავად, სასამართლომ სასჯელის დამძიმებისას, არცერთი დამამძიმებელი გარემოება არ გაითვალისწინა. [124]

აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულმა აღიარა დანაშაული და იმავე დროს, სადავოდ არ გაუხდია გამოძიების მიერ მოპოვებული არცერთი მტკიცებულება, გარდა სტუმრად მისული მისი მეგობრის გამოკითხვის ოქმისა. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლის შენიშვნის თანახმად, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი ოჯახის წევრად მიიჩნევა, ამიტომ, სასამართლომ დანაშაული დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლით დააკვალიფიცირა, ვინაიდან ბრალდებული და დაზარალებული არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ.[125]

ბათუმის საქალაქო სასამართლომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და მონანიება, მისი ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რაც საკუთარი ქმედების გაცნობიერებასა და გულწრფელ მონანიებაზე მიუთითებდა. პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად კი, მიიჩნია დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ. გენდერის ნიშანი ამ საქმეში სასამართლომ ვერ დაინახა, იმის მიუხედავად, რომ დანაშაული ჩადენილი იქნა ეჭვიანობის და დაზარალებულის ქცევის კონტროლის მიზნით - ქმრის თანხმობის გარეშე არ გასულიყო გარეთ ღამის 23 საათზე. მაშინ, როდესაც გენდერის ნიშანი არ არის მაკვალიფიცირებელი გარემოება, სასამართლოს ჰქონდა უფლება, ამ მოტივით დანაშაულის ჩადენა, სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,[126] პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიეჩნია.

ამასთანავე, სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ბრალდებულის აღიარება, რომ კონფლიქტის მიზეზი დაზარალებული ქალის სხვა ქალთან სასიყვარულო ურთიერთობა იყო. მართალია, დაზარალებულს გამოკითხვის ოქმში სხვა ქალთან თავის ინტიმურ ურთიერთობაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ ამგვარი სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ მიუთითებდა დანაშაულის ერთადერთი უშუალო თვითმხილველი, რომელიც ერთდროულად ბრალდებულთანაც მეგობრობდა და დაზარალებულთანაც. ასევე, ბრალდებული მიუთითებს, რომ განზრახ სხეულის დაზიანება სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ჩაიდინა. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებული ქალის სექსუალურ ორიენტაციას. თუკი დანაშაულის ჩამდენი პირისთვის ეს გარემოება დანაშაულებრივი ქმედების მოტივატორია, საკმარისია იმისათვის, რათა სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნიოს.

იმის მიუხედავად, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ უდავო მტკიცებულებად მიიღო ბრალდებულის გამოკითხვის ოქმი, სათანადო სამართლებრივი შეფასების მიღმა დატოვა ამ ოქმის ის ნაწილი, სადაც საუბარი იყო მსხვერპლის სექსუალურ ორიენტაციაზე და ამის

124 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-850/20.

125 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-850/20.

126 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-850/20.

გამო მისი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე. სასამართლომ არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიიჩნია სექსუალური ორიენტაცია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის - სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დამამძიმებელ გარემოებად.

მისასალმებელია, რომ წინა წლებთან შედარებით გაზრდილია სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 53^1 მუხლის გამოყენების შემთხვევები, მაგრამ, ამის მიუხედავად, სასამართლოები ამ მუხლით ბრალდებულს სასჯელს უმეტესწილად მაშინ უმძიმებენ, როცა მსხვერპლი მისი ოჯახის წევრია. სისხლის სამართლის კოდექსის 53^1 მუხლის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის გამო ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობის გასამკაცრებლად გამოყენების შემთხვევა შედარებით ნაკლებია. როგორც ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე აჩვენებს, სასამართლოს ჯერ კიდევ უჭირს გენდერის ნიშნის სათანადო გააზრება და ამ ცნების ჯეროვანი გამოყენება.

6. სისხლისსამართლებრივი ბრალდებების შეწყვეტის შესახებ განჩინებების ანალიზი

საქართველოს სახალხო დამცველმა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, 2020 წლის 5 განჩინება გააანალიზა. 5-ვე შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მიზეზი პირის შეურაცხადობა იყო.

სახალხო დამცველი სიფრთხილით ეკიდება იმ შემთხვევების ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად დაკვალიფიცირებას, რომლებიც ჩადენილია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიერ, შეურაცხადობის მდგომარეობაში. ამის მიზეზი იმ გარემოების დადგენის სირთულეა, თუ რამდენად აღიქვამენ ეს პირები გენდერის კონცეფციას.

წინა წლებისაგან განსხვავებით, სასამართლოს განჩინებებში საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერა უფრო დეტალური გახდა. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში მითითებულია, რომ ახალგაზრდა ბიჭმა მძინარე დედას რამდენჯერმე დაარტყა ნაჯახი თავის არეში, რის შემდეგაც დედა ადგილზევე გარდაიცვალა. ნაჯახის დარტყმისას გამოეღვიძა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ბებიას, და ახალგაზრდა ახლა ბებიასკენ შეტრიალდა და მასაც რამდენჯერმე დაარტყა ნაჯახი მოსაკლავად სხეულის სხვადასხვა ადგილას. განსაკუთრებული სისასტიკით მიყენებული დაზიანებების შედეგად ბებია ასევე გარდაიცვალა.[127]

ასეთივე დეტალურობით გამოირჩევა თბილისის საქალაქო სასამართლოს კიდევ ერთი განჩინება სხვა საქმეზე, სადაც აღნიშნულია, რომ 2020 წლის 2 მარტს, ოჯახურ საკითხებთან დაკავშირებით წარმოშობილი კონფლიქტის დროს, ვაჟიშვილმა, შურისძიების ნიადაგზე განზრახ მოკვლის მიზნით, დანით სხეულის სხვადასხვა ადგილებში დაზიანება მიაყენა მასთან მცხოვრებ დედას, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.[128] წინა შემთხვევისაგან განსხვავებით, ამ საქმეში დამატებით მითითებულია მართლსაწინააღმდეგოდ დედისათვის სიცოცხლის მოსპობის მოტივი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების ასეთივე დეტალურობით ხასიათდება მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინება, სადაც აღნიშნულია, რომ 2020 წლის 28 თებერვალს, კაცმა თავისი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე დედის თვალწინ ჯერ სანადირო თოფიდან ესროლა თავის დას, რის შემდეგაც სხეულის სხვადასხვა არეში დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა დედას და დას. დედა ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო და - საავადმყოფოში.[129]

2020 წლის 17 ივლისის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია: 2020 წლის 21 თებერვალს, თავის საცხოვრებელ სახლში ქმარმა ცოლს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, სხეულის სხვადასხვა მიდამოში რამდენჯერმე დაარტყა დანა, რის შედეგადაც ცოლმა გულმკერდის მიდამოში მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება.[130]

მსგავსი შინაარსისაა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 აპრილის განჩინება. განჩინებაში მითითებულია, რომ 2020 წლის 5 დეკემბერს სხვის სახლში შ. ც.-მ ურთიერთ-

127 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2512-20.

128 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1976-20.

129 მცხეთის რაიონული სასამართლო.

130 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1/154-2020.

შელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი უთანხმოების გამო, თანნაქონი დანის გამოყენებით, მუცლისა და გულმკერდის არეში სიცოცხლისათვის სახიფათო ჭრილობები მიაყენა ნ. ი.-ს.[131]

მართალია, წინა წლებთან შედარებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებები უფრო დეტალური გახდა, თუმცა უმჯობესი იქნება განჩინებებში კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტდეს დანაშაულის ჩადენის მოტივი იმ შემთხვევებში, როდესაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მდგომარეობიდან გამომდინარე, მოტივის დადგენა შესაძლებელია. მაგალითად, როდესაც სასამართლო მიუთითებს, რომ თავდამსხმელსა და მსხვერპლს შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა, კონკრეტულად იყოს მითითებული, თუ რაში გამოიხატება ურთიერთშელაპარაკება.

131 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-19.

დასკვნა

საანგარიშო პერიოდში, თბილისის საქალაქო და გორის რაიონული სასამართლოების მიერ განაჩენებში გენდერის ცნების განმარტება, უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. ასევე, პროკურატურის მიერ იმ ბავშვების დაზარალებულებად ცნობა, რომლებმაც, მათი მშობლების მიმართ ფემიციდის ჩადენისას, ძალადობის ხმა გაიგონეს. ასევე მისასალმებელია, რომ სამართალდამცავი უწყებები გამოძიების დროს ძალადობის წინარე ისტორიას შეისწავლიან და მოწმეებს გამოკითხვისას გამომძიებლები გენდერული მოტივის გამოსაკვეთად დამაზუსტებელ კითხვებს უსვამენ.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა ხარვეზებით წარმოებულ გამოძიებასაც. ფემიციდის საქმეების ანალიზისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც გამომძიებლები არ სვამდნენ მოტივის დამაზუსტებელ შეკითხვებს და შესაბამისად, ორ საქმეში,[132] ქალის მკვლელობისა თუ მკვლელობის მცდელობის საქმეებში, დანაშაულის ჩადენის მოტივი უცნობი დარჩა. გარდა ამისა, ასევე პრობლემურია საქართველოს პროკურატურის მიერ გენდერული მოტივის დადგენა და შესაბამისი მუხლით ქმედების კვალიფიკაცია. ოჯახის წევრის მიმართ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულის გენდერული მოტივით ჩადენის შემთხვევაში, ქმედების კვალიფიკაცია ხდება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი მუხლით და არა აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის განკუთვნილი სპეციალური მუხლით. გამოძიებამ გენდერული მოტივი მაშინაც ვერ გამოკვეთა, როდესაც ბრალდებულმა შეცდომა დაუშვა დაზარალებულის იდენტობასთან დაკავშირებით და მსხვერპლის მიმართ დანაშაული მხოლოდ მისი კონკრეტული ჯგუფის მიკუთვნებულობის გამო ჩაიდინა.

2020 წლის ფემიციდის შემთხვევებზე ასევე გამოიკვეთა გამოძიების ყოველმხრივ ჩატარების პრობლემაც, რამაც, საბოლოო ჯამში, ფემიციდის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა გამოიწვია.

სასამართლო, ოჯახში ძალადობის საქმეებზე პირობითი მსჯავრის ან მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გამოყენების პირობებში, არ აფასებს, მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში, რამდენად არსებობს ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულებრივი ქმედებების გაგრძელების რისკი. უფრო მეტიც, პირობით მსჯავრს იყენებს ისეთი მოძალადეების მიმართ, რომლებმაც წარსულში არაერთხელ დაარღვიეს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების პირობები და იძალადეს ოჯახის წევრებზე. ამასთანავე, სასამართლო პირობითი მსჯავრის გამოყენებამდე არ შეისწავლის იმ გარემოებას, აღმოიფხვრა თუ არა ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები. შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სასამართლოს მიერ ოჯახში სისტემატური მოძალადისთვის პირობითი მსჯავრის დასანიშნად, საკმარისია მხოლოდ იმ გარემოების დადგენა, რომ სახეზეა ნაკლებად მძიმე დანაშაული და ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან.

იმის მიუხედავად, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებმა დაიწყეს გენდერის ცნების განმარტება, არ არსებობს ამ საკითხზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა. მაგალითისათვის, აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხზე, ფარავს თუ არა გენდერის ნიშანი ქალის მიმართ ეჭვიანობის გამო ჩადენილ დანაშაულს. შესაბამისად, ამ თემაზე უზენაესი სასამართლოს განმარტების არსებობა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად, მნიშვნელოვანია.

132 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1/142-20 და თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1832-20.

უზენაესი სასამართლოს განმარტება ასევე აუცილებელია იმ საკითხის გასარკვევად, სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლის მიზნებისათვის როგორ უნდა დადგინდეს დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის არარეგისტრირებული ქორწინების არსებობა.

მართალია, სასამართლოები აქტიურად ითვალისწინებენ ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, როგორც დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას, თუმცა კვლავაც მცირეა იმ საქმეების რიცხვი, როცა მოსამართლემ სასჯელი გენდერის ნიშნით დანაშაულის ჩადენის გამო დაამძიმა. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სასამართლო უბრალოდ თვალს ხუჭავს ქალის მიმართ მისი სექსუალური ორიენტაციის და გენდერის ნიშნის გამო ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივი შეფასებისაგან.

რეკომენდაციები

საქართველოს გენერალურ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს:

1. გენდერული მოტივის გამოსაკვეთად ჩატარდეს ყველა საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, მოწმეებისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის სათანადო დამაზუსტებელი კითხვების დასმის გზით, რაც დაადასტურებს ან უარყოფს ამგვარი მოტივის არსებობას;

2. გამოძიება წარიმართოს ყოველმხრივ და არ ფოკუსირდეს ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ჩადენის მხოლოდ ერთ ვერსიაზე;

3. დანაშაულის განმეორების რისკების არსებობისას, საგამოძიებო ორგანოებმა გაატარონ დროული ღონისძიებები ბრალდებულის დაკავებისა და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სახით;

4. შეუწყნარებლობის მოტივით დაკვალიფიცირდეს დანაშაულებრივი ქმედება, რომლიც მოტივირებულია ბრალდებულის მიერ დაზარალებულის კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილების არასწორი აღქმის გამო;

5. როდესაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაული ჩადენილია ოჯახის წევრის მიმართ ან/და გენდერის ნიშნით, ქმედების კვალიფიკაცია მოახდინოს სპეციალური 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება) და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ[1]“ ქვეპუნქტით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება გენდერის ნიშნით) და არა 11[1]-117-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საერთო სასამართლოებს:

1. მოსამართლეებმა ოჯახური დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს შეურჩიონ იმ ხანრძლივობის და სიმკაცრის სასჯელები, რაც სათანადოდ დაიცავს დაზარალებულს ან ოჯახის სხვა წევრს დანაშაულებრივი ქმედების განმეორებისაგან/უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენისგან;

2. სასჯელის დანიშვნისას, დაზარალებულის პოზიცია მსჯავრდებულთან შერიგებასთან დაკავშირებით, სასამართლომ გაითვალისწინოს იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოფხვრილია ის პირობები ან მიზეზები, რაც ხელს უწყობდა ოჯახში ძალადობას. ამ პირობების აღმოფხვრის გარემოებები განაჩენში სათანადოდ დასაბუთდეს, იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულის მიმართ სასამართლო იყენებს შეღავათებს.

3. ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დასამკვიდრებლად, უზენაესმა სასამართლომ გააკეთოს განმარტება იმ საკითხთან დაკავშირებით, ფარავს თუ არა გენდერის ნიშანი ეჭვიანობის მოტივით ჩადენილ მკვლელობას;

4. უზენაესმა სასამართლომ დაადგინოს პირის არარეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის კრიტერიუმები სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლის მიზნებისათვის;

5. სასამართლოებმა აქტიურად გამოიყენონ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ გენდერის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, მაშინ როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებები ამ მოტივზე მიუთითებს და გენდერის ნიშანი არ არის მაკვალიფიცირებელი ნიშანი;

6. შეურაცხადობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის განჩინებებში, რამდენადაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის მდგომარეობა იძლევა ამის შესაძლებლობას, დეტალურად აღწერონ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მოტივი, თუკი საქმეში მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც ამ მოტივზე მიუთითებს;

7. საქართველოს საერთო სასამართლოებმა აწარმოონ ქალთა მკვლელობების, მკვლელობის მცდელობებისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევების გამართული სტატისტიკა და უზრუნველყონ საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება;

8. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აწარმოოს გამართული სტატისტიკა საერთო სასამართლოების მიერ მიწოდებული ქალთა მკვლელობების, მკვლელობის მცდელობებისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევების განაჩენებისა და განჩინებების შესახებ.

დანართი 1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით,[133] 2020 წელს, **ოჯახური დანაშაულის ნიშნით**, 11 პირის მიერ ჩადენილია 13 ქალის **მკვლელობა**. ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები იძიებდნენ.

ამ 11 პირიდან, სისხლისსამართლებრივი დევნა, თერთმეტივე პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-109-ე მუხლით დაიწყო. ამათგან, სისხლისსამართლებრივი დევნა გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დაიწყო 3 პირის მიმართ.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 1 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 3 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 2 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 2 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 1 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 2 ქალი; 70 წელს ზემოთ - 2 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 3 (2 საქმეში 3 ქალი); კახეთი - 2; შიდა ქართლი - 4 (3 საქმეში 4 ქალი); დასავლეთი - 2; ქვემო ქართლი - 2.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 7 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ქმრის მიერ ცოლის მიმართ, 3 შემთხვევაში - შვილის მიერ დედის მიმართ, 1 შემთხვევაში - შვილიშვილის მიერ ბებიის მიმართ, 1 შემთხვევაში - ძმის მიერ დის მიმართ, 1 შემთხვევაში - მამის მიერ შვილის მიმართ (აღსანიშნავია, რომ 2 პირის მიერ ჩადენილია 4 ქალის მკვლელობა, ხოლო 1 პირის მიერ 1 ქალის მკვლელობა და 1 ქალის მკვლელობის მცდელობა).

2020 წელს **სხვა მოტივით** 10 პირის მიერ ჩადენილია 9 ქალის **მკვლელობა**. 9 შემთხვევიდან 8 ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებდა, ხოლო 1 ფაქტს - პროკურატურის საგამოძიებო სამმართველო.

ამ 10 პირიდან 3 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, ხოლო 7 პირის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით.

დაზარალებულთა ასაკი: 18-დან 30 წლამდე - 3 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 2 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 5; აჭარა - 2; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1 ქალი; კახეთი - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 5 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია ნაცნობის მიერ, 2 შემთხვევაში - ნათესავის მიერ (მეუღლის ბიძაშვილი, ბიძაშვილის მეუღლე), 2 შემთხვევაში - უცნობის მიერ, 1 შემთხვევაში დაუდგენელია დანაშაულის ჩამდენი პირი.

2020 წელს, **ოჯახური დანაშაულის ნიშნით**, 11 პირის მიერ ჩადენილია 11 ქალის **მკვლელობის მცდელობა.** 10 ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები იძიებდნენ, ხოლო 1 ფაქტზე გამოძიებას აწარმოებდა საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველო. 11-ვე პირის მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს

133 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 24 თებერვლის წერილი №13/10486.

სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-19-109 მუხლით დაიწყო. ამათგან, სისხლისსამართლებრივი დევნა გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დაიწყო 6 პირის მიმართ (მათ შორის, 1 პირის მიმართ გენდერული ნიშანი 2021 წელს დაზუსტდა).

დაზარალებულთა ასაკი: 18-დან 30 წლამდე - 6 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი, 70 წელს ზემოთ - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 6; შიდა ქართლი - 1; ქვემო ქართლი - 1; კახეთი - 1; სამცხე-ჯავახეთი -1; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 6 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია ქმრის მიერ ცოლის მიმართ, 2 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია ყოფილი ქმრის მიერ ყოფილი ცოლის მიმართ, 1 შემთხვევაში - სიძის მიერ სიდედ-რის მიმართ, 1 შემთხვევაში - მამის მიერ შვილის მიმართ, 1 შემთხვევაში - ერთიან საოჯახო მეურნეობაში მყოფი პირის მიმართ.

2020 წელს, **სხვა მოტივით** 9 ქალის **მკვლელობის მცდელობის ფაქტზე** სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 9 პირის მიმართ (ამათგან, 1 ფაქტზე დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ, ხოლო 1 ფაქტზე კონკრეტული პირის მიმართ დევნა არ დაწყებულა). 6 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით, ხოლო 3 პირის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით.

დაზარალებულთა ასაკი: 18-დან 30 წლამდე - 3 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 2 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 5; აჭარა - 2; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1 ქალი; კახეთი - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 5 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია ნაცნობის მიერ, 2 შემთხვევაში - ნათესავის მიერ (მეუღლის ბიძაშვილი, ბიძაშვილის მეუღლე), 2 შემთხვევაში - უცნობის მიერ, 1 შემთხვევაში დაუდგენელია დანაშაუ-ლის ჩამდენი პირი.

2020 წელს, **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** 6 ქალის **თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის** ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა 7 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-115-ე მუხლით დაიწყო. ამათგან, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ. ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები იძიებდნენ.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 1 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 2 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 3 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: შიდა ქართლი - 1; თბილისი - 1; ქვემო ქართლი - 2 (ბრალდებული 3); კახეთი - 1; სამცხე-ჯავახეთი - 1.

რაც შეეხება ბრალდებულის კავშირს დაზარალებულთან, 3 შემთხვევაში თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა ჩადენილია ქმრის მიერ, 1 შემთხვევაში - ქმრის და მამის მიერ, 1 შემთხვევაში - ყოფილი ქმრის მიერ, 1 შემთხვევაში - დედამთილის მიერ.

2020 წელს, **გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით** შეუწყნარებლობის მოტივით პარტნი-ორი კაცის მიერ პარტნიორი ქალის **თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის** ფაქტზე სისხლის-

სამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

დაზარალებულთა ასაკი: 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: ქვემო ქართლი - 1.

რაც შეეხება ბრალდებულის კავშირს დაზარალებულთან, თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა ჩადენილია პარტნიორის მიერ.

2020 წელს, **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** 2 ქალის **ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე,** რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ (1 ქალის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ფაქტზე, ხოლო 1 ფაქტზე სისხლის-სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-117 მუხლით. ამათგან, გენდერული ნიშანი არცერთ შემთხვევაში არ გამოიკვეთა.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 1 ქალი; 70 წელს ზემოთ - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: ქვემო ქართლი - 1; დასავლეთ საქართვე-ლო - 1.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 1 შემთხვევაში ჯანმრთელო-ბის მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილია შვილის მიერ დედის მიმართ, ხოლო 1 შემთხვევაში დაუდგენელია.